www.adjaraps.com

საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაციის წევრი სახალხო გაზეთი

აჭარა P.S.

18 ოქტომბერი, 2011 წელი, №23 (619)

ფასი 50 თეთრი

ჩვენ არ ვიცვლით ფერს!

გამოცემის მეთოთხმეტე წელი

6

არაჩვეულებრივი გამოფენა ბათუმში

7

გარეგინ მეორის ვნებები...

6

„გურჯისტანის მიშაეთი“

3

ედუარდი - ბიძინას ნაბიჯს უწონებს...

2,3,4,5 გვ.

პოლიტიკური სეირი საქართველოში

არ გამოტოვოთ არც ერთი სტატია, „აჭარა P.S.“ - ასე საინტერესო არასდროს ყოფილა!

რედაქციისაგან

ახლა, მთელი საქართველოს ყურადღება ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ ნაბიჯებზეა მიპყრობილი და ჩვენც, ჟურნალისტებსაც ასი თვალი და ასი ყური გვაქვს გამობმული, ვინძლო, ამ სეირიდან რაიმე არ გამოგვეპაროს...

ასინეთას თვალ-ყურის გამოსაბმელად კი დღეს თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში, „ფეისბუქი“ პირველი და უალტერნატივო საშუალებაა, მითუმეტეს, როცა ტელევიზიები პრაქტიკულად არაფერს ამბობენ და ინტერნეტი ინფორმაციის მიღების ერთადერთ წყაროდ რჩება. ამ დღეებმა მხოლოდ ერთი რამ დაგვანახა, რასაც ხმამაღლაც ვიტყვით, ივანიშვილმა სხვა რომ არაფერი გააკეთოს, მარტო ის ეყოფა, რომ მან პრაქტიკულად მთელი საქართველოს ლუსტრაცია მოახდინა... თავისით გაიშიფრა დაბნეული ხელისუფლება და მისი სატელიტი ოპოზიციური სპექტრი, ის კი არა და უკვე მედიაც ისე გაიშიფრა, შავი და თეთრი სულ თავდაყირა დადგა...

... და როგორც გითხარით, ეს ყვლაფერი ქართულ სატელევიზიო სივრცეში პრაქტიკულად არ იგრძნობა, ინტერნეტი კი იმდენად აქტიურია, ლამის აფეთქდეს საიტები, თუმცა ამ სიამოვნებაზე ჯერ კიდევ ყველას არ მიუწვდება ხელი, ამიტომ გადავწყვიტეთ, გაზეთის დღევანდელი ნომრის დიდი ნაწილი ბიძინა ივანიშვილის თემას დავუთმოთ და ინტერნეტსივრცეში განთავსებული მნიშვნელოვანი მასალები შემოგთავაზოთ, რითაც მკითხველს შავ-თეთრის გარჩევის მეტი საშუალება მიეცემა...

პოლიტიკური სეირი საქართველოში

ალბერა P.S. - 2011 წლის 18 ოქტომბერი №23 (619)

გაზეთი არის საქართველოს
რეგიონული მედიის ასოციაციის
სრულუფლებიანი წევრი

„ცუგცვანგის" პირას

თამაშების თეორიაში არის ერთი ძალიან საინტერესო სიტუაციური პოზიცია, რომელსაც „ცუგცვანგს" უწოდებენ. ის გამოიყენება იმ სიტუაციის აღსანიშნავად, როდესაც მოთამაშის პოზიცია უკეთესი იქნებოდა, მისი სვლა რომ არ იყოს. ანუ, ის სიამოვნებით დათმობდა თავის სვლას, რადგან მისი ნებისმიერი სვლა მის პოზიციას აუარესებს. თუ მანამდე მოსაგები პოზიცია ჰქონდა, ახლა მხოლოდ ფრეს მიაღწევს, ხოლო ფრის შესაძლებლობიდან შეიძლება წაგებამდე ჩამოქვეითდეს.

ყველაზე საინტერესო კი ორმაგი ცუგცვანგია, როცა ორივე მოთამაშის სვლა მისთვის წამგებიანია და ორივე არჩევს, რომ თავისი სვლის ჯერი დათმოს.

ქართულ პოლიტიკაში ცუგცვანგების სეზონი დაიწყო და მდგომარეობის სირთულე იმაშია, რომ ჭადრაკისაგან განსხვავებით, პოლიტიკაში ცუგცვანგი პატით (იძულებითი ფრით) ვერ დამთავრდება. პირიქით, მას მდგომარეობის ესკალაცია შეიძლება მოჰყვეს მხოლოდ.

ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე თავიდანვე ვიტყვი - ბიძინა ივანიშვილის საქმიანობა(ძირითადად მაინც) ძალიან მომწონს.

საერთოდ, მემარცხენეების არ მწამს და მიმაჩნია, რომ კომუნისტური სოფლების შენება ადამიანების ფსიქოლოგიის ისეთ ცვლილებებს მოითხოვს, რომ დღეს უტოპიაა.

მაგრამ ვაღიარებ, დღეს გაჩანაგებულ, ცალკე გარეშე მტრისგან და განსაკუთრებით კი საზოგადოების კისერზე შემომჯდარი წურბელა კრიმინალი ხელისუფლებისაგან გაწამებულ და დაუცველ საქართველოს მოსახლეობას ბიძინა ივანიშვილის სახით ღამის ერთადერთი ისეთი დიდი ქველმოქმედი და მოამაგე ჰყავს, რომ ჩემი და ნებისმიერი შედარებით უკეთეს პირობებში მყოფი ადამიანისაგან იმის ქადაგება - მარადიული ქველმოქმედება დახმარების მიმღებ ხალხს აზარმაცებს და მომთხოვნელობის მადას უზრდის, იმის ნაცვლად რომ თევზაობა ისწავლონ და თავად ირჩინონ თავი მეთქი - ალბათ, ცინიკური დემაგოგია იქნება.

დღეს საქართველოს ყველა რაიონს რომ თავისი ბიძინა ივანიშვილი ჰყავდეს, საქართველოს უზნეო ხელისუფლებას ძალიან გაუჭირდებოდა მისი ხრიკებით და ძალადობით გაღატაკებული მოსახლეობის ისე დამონება და დაშინება, როგორც, სამწუხაროდ, ეს არის.

ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში წასვლა გადაწყვიტა.

მიშასთვის ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში წასვლაზე უარესი მხოლოდ ერთი რამ შეიძლება ყოფილიყო - ჰააგის ტრიბუნალის საბრალდებო დასკვნა

როგორც ამბობენ, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

ნებისმიერ გადაწყვეტილებას მოეძებნება კრიტიკოსები.

ბადრი პატარკაციშვილის პრეზიდენტობის ამბიციის დროს მეც და სხვებიც ვამბობდით, რომ უკეთესი იქნებოდა, პატარკაციშვილს მხარი დაეჭირა რომელიმე პარტიისთვის და არ მიეცა მთავრობისათვის პირადად მასზე სერიოზული დარტყმის მიტანის შესაძლებლობა. და ყველაზე სერიოზული დარტყმა ფსიქოლოგიური იყო. მაკიაველის, გებელსის, ბერიას და ვიშინსკის მეთოდებზე გამოზრდილმა ხელისუფლებამ მოახერხა, რომ ძალიან გამოცდილი და გაწონასწორებული ბიზნესმენი სონიკორლეონეს მსგავსად აფექტის მდგომარეობაში ჩაეგდო და ის ეთქმევინებინა, რაც პოლიტიკურად ყველა კონტექსტის და ისტორიული რაკურსის გათვალისწინებით, წამგებიანად ჟღერდა - უკანასკნელ ცენტამდე დავხარჯავ ჩემს ქონებას ამ ხელისუფლების ჩამოსაგდებადო!

ასე მგონია, ბიძინა ივანიშვილი 2008 წელს ბადრი პატარკაციშვილთან ერთად თუ მის გარეშეც გაცილებით ძლიერი ოპონენტი იქნებოდა და არა ფინანსების გამო, არამედ იმის გამო, რომ ასეთ ფსიქოლოგიურ მახეში არ გაებმებოდა.

მაგრამ ბიძინა ივანიშვილს მოუწევს იმის გათვალისწინება, რომ ხელისუფლება მისთვისაც სერიოზულ ფსიქოლოგიურ გამოცდებს მოამზადებს და ეს გამოცდები ძალიან სწორ პრევენციას და რეაგირებას მოითხოვს. შევარდნაძის რჩევა - დაცვა გააძლიეროსო, იმ ადამიანის რჩევაა, რომელიც ამათ ზნეს კარგად იცნობს და ამდენად ძალიან საყურადღებოა!

მეორე შეცდომა, რაც ბადრი პატარკაციშვილს მოუვიდა, იყო ის სუსტი ორგანიზაციული ჯგუფი, რომელიც მას მხარს უმაგრებდა. რაც არ უნდა გავიმეოროთ ჭეშმარიტება, რომ ნონა გაფრინდაშვილი სუფთა და პატივსაცემი პიროვნებაა, ხოლო გიორგი თარგამაძე - ეშმაკი და მრავალჯერ გაყიდული პოლიტიკოსი. თუ გიორგი თარგამაძის დონის პოლიტიკურ ინტრიგებში გამოცდილი და პოლიტიკური ხრიკების შემფასებელი რამდენიმე პიროვნება არ გყავს გუნდში, ძალიან ძნელია საკაშვილის გუნდს დაუპირისპირდე. რამდენადაც მწირია ნაცმოძრაობის ლიდერების ფანტაზია, თუკი საქმე ხალხისთვის სიკეთის კეთებას ეხება, იმდენად ფანტასმაგორიულად „შემოქმედებითი" ხდებიან, როგორც კი რაიმე სიდამპლეს იგონებენ!

სამწუხაროდ, აქ კი უნდა ვაღიარო, რომ დღემდე ბიძინა ივანიშვილის „ქართუ ჯგუფის" მიერ გაკეთებული უამრავი განცხადება მხოლოდ იმის საფუძველს მაძლევდა, სახტად დავრჩენილიყავი, რატომ უნდა ჰყოლოდა ამ მასშტაბის ფინანსისტს ასეთი სუსტი ანალიტიკოსები, რომელთა არგუმენტაცია და პასუხები თავდასხმებზე საკმაოდ უნიათო და მოსაბეზერებელი იყო. „ქართუ ჯგუფის" ხელმძღვანელის მერაბიშვილის აგენტობის შესახებ განცხადებებმა ნაწილობრივ გასაგები გახადა ამ უნიათობის „მიზეზი" და იმედია, ბიძინა ივანიშვილის განცხადებები და მისი გუნდის დაკომპლექტება გაცილებით უკეთესი იქნება იმაზე, როგორც „ქართუ ჯგუფი" იყო დაკომპლექტებული, ან როგორც - ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბი.

მიშასთვის ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში წასვლაზე უარესი მხოლოდ ერთი რამ შეიძლება ყოფილიყო - ჰააგის ტრიბუნალის საბრალდებო დასკვნა. ამიტომ დარწმუნებული ვარ, მას შემდეგ მიშა ისეთი გახდა, დანა კრიჭას არ უხსნის. არ ვიცი, დააკვირდით თუ არა, რამდენი შეცდომა დაუშვა სარკოზობაზე გამოსვლისას, როდესაც მან ჩვეულებას გადაუხვია და დაბეჭდილ ტექსტს ლამის სიტყვა-სიტყვა კითხულობდა.

მაგრამ მიხეილ საკაშვილს გამომგონებლობას ვერ დაუკარგავ და დარწმუნებული ვარ, მას რამდენიმე საშუალება ექნება უკვე (რომელთაგან ზოგი შეიძლება წლების წინ ჩაფიქრებული), როგორ უპასუხოს ამ მისთვის კატასტროფულ საფრთხეს.

ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა განცხადება, რომ პოლიტიკაში მოდის და დაამთხვია იგი სარკოზობის აბსოლუტურად უგვან „დღესასწაულს". არ ვიცი, რა შთაბეჭდილება დარჩათ დასავლეთში, მაგრამ საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა აბსოლუტურად სწორად შეაფასა ის, რაც თბილისში მერიის თხოვნით უქმე დღედ გამოცხადებულ 7 ოქტომბერს ხდებოდა - ბრეჟნევის რეინკარნაცია! სარკო-მზეობა და აცუნდრუკება!.. უდიდეს ბლეფს, რომ საქართველო თურმე ევროკავშირში და ნატოში გაწევრიანების საქმეში საფრანგეთმა „იშვილა", მხოლოდ ვაი-დი პლომატ ნინო კალანდაძის ზემოვლენილი ჩვილი თუ დაიჯერებს, რადგან არავის ისე არ დაუბლოკია საქართველოს გზა ნატოში, როგორც საფრანგეთს, და დარწმუნებული ვარ, დღეს ევროკავშირზეც ეგრე იქნება - საპენსიოდ გამზადებული ნიკოლა სარკოზი არასდროს იზამს იმას, რაც რუსეთს სერიოზულად გაამწარებს.

ამის პარალელურად კი იმ ადამიანმა, რომელიც დღემდე ჩრდ-

(გაგრძელება მე - 3 გვერდზე)

„რევოლუციური" სამკუთხედი

ბიძინა ივანიშვილის ქართულ პოლიტიკურ სპექტრში გამოჩენამ შოკში ჩააგდო ხელისუფლება და დაბნეულება გამოწვია ოპოზიციაშიც. ოპოზიციის ნაწილმა უკვე აღარ იცის, იცინოს თუ იტიროს, რაც შეეხება ხელისუფლებას ალბათ დამეთანხმებით, რომ მას სასაცილოდ ნამდვილად აღარ აქვს საქმე და ამას სახელისუფლებო მედიის ისტერიაც მოწმობს.

ხელისუფლება კონტროლირებადი მედიით ცდილობს ივანიშვილის რუსულ ფაქტორზე ისაუბროს. ინტერნეტტელევიზია itv.ge ბიძინა ივანიშვილის სოფელში იმის გამო ჩავიდა, რომ გაერკვია ბიძინა ივანიშვილია თუ ივანაშვილი. არადა, საზოგადოებისთვის უფრო ფასეული ინებოდა სიუჟეტის მომზადება იმის შესახებ, თუ როგორ გახდა მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი, თუმცა ეს ალბათ მათთვის წამგებიანი იქნებოდა, რადგან ივანიშვილს სხვა ბიზნესმენებისგან განსხვავებით, სუფთა დოსიე აქვს.

საყურადღებოა, რომ არც ერთი მედიასაშუალება არ საუბრობს იმ ქველმოქმედების შესახებ, რომელსაც ივანიშვილი ბოლო წლების განმავლობაში ახორციელებდა ქვეყანაში. ივანიშვილმა იცის მედიის ფასი, ის მეცხრე არხის მფლობელი იყო, რომელიც რევოლუციის შემდეგ დაიხურა, და ამიტომაც პოლიტიკაში მოსვლა ტელევიზიის შესყიდვაზე „აუქციონის" გამოცხადებით დაიწყო. ივანიშვილს „აუქციონის" ფორმა დაუწუნეს მედიაექსპერტებმა და იმ ტელევიზიის ხელმძღვანელობამ, რომლის შესყიდვაშიც მისი რეალური ღირებულების სამჯერ მეტს იხდიდა.

პოლიტიკაში ივანიშვილის გამოჩენამ აქტუალური გახადა კითხვა, თუ ვინ იქნებიან მისი შესაძლო პოლიტიკური პარტნიორები.

ბიძინა ივანიშვილმა განცხადებაში გამორიცხა „სახელისუფლებო ოპოზიციასთან" თანამშრომლობა. ივანიშვილის განცხადების გავრცელებამდე რამდენიმე საათით ადრე ირაკლი ალასანიამ „ექვსიანის" დაშლის შესახებ გააკეთა განცხადება, რაც, სავარაუდოდ, სწორედ ბიძინა ივანიშვილთან მისი თანამშრომლობის დასაწყისს უნდა ნიშნავდეს, რადგან პოლიტიკურ ექვსიანში შემავალ რამდენიმე პარტიასთან ივანიშვილი საერთოს არ დაიჭერდა. თავის მხრივ, ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის შესახებ ერთ-ერთი კონსტრუქციული შეფასება „თავისუფალი დემოკრატების" ლიდერმა ირაკლი ალასანიამ გააკეთა. ბიძინა ივანიშვილის გავრცელებულ განცხადებაში კი ერთი მინიშნებაა გაკეთებული, სადაც იგი „მაესტროს" და „კავკასიას" 26 მაისის დარბევის შემდეგ ოპოზიციისთვის მოუცლელობაში საყვედურობს. აქედან გამომდინარე, ივანიშვილის კიდევ ერთი დასაყრდენი ქართულ პოლიტიკაში შესაძლოა, არც მეტი არც ნაკლები „დემოკრატიული მოძრობის" ლიდერი ნინო ბურჯანაძე იყოს. მითუმეტეს, რომ „სახალხო კრებამაც" გაავრცელა ბ. ივანიშვილის მხარდამჭერი განცხადება. გამოდის, რევოლუციური არჩევნების სამკუთხედი შეიკრა - ბიძინა ივანიშვილი, ნინო ბურჯანაძე, ირაკლი ალასანია.

„ცუგცვანგის“ პირას

(მეორე გვერდიდან)

ილში იდგა, ათასობით ადამიანს ეხმარებოდა, თეატრებს და ბიბლიოთეკებს, ეკლესიებსა და მუზეუმებს აშენებდა, საქართველოს გადასარჩენად იმ რეჟიმთან დაპირისპირება გვამცნო, რომელიც აქამდე ყველა მსგავსი სითამამის გამომჩენი ან გადაასახლა, ან დაიჭირა, ან გაანადგურა.

აჯობებდა, რომ ეს გადაწყვეტილება 2008 წელს მიეღო - დიახ? დღეს უკვე გვიანია - არა!

თავისუფლების მოედანზე 50 ათასი ადამიანი 7 ოქტომბერს იძულებით მირეკა. რაიონებიდან ავტობუსებით ჩამოყვანილი, გამგეობებიდან და სკოლებიდან დაბარებული „აღმზრდელები“ ჩვენი დროის ბრეჟნევიადის სპექტაკლში სტატისტებად დააყენეს. რამდენიმე ასეული ათასი ადამიანი, რომელმაც იმავე დღეს ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილების შესახებ გაიგო, ყოველგვარი იძულების გარეშე იმედმოცემული კითხულობდა ამ განცხადებას და საკუთარ ახლობლებს აცნობდა.

7 ოქტომბერს ივანიშვილმა სააკაშვილს სერიოზული ალიყური გააწნა.

ალიყურის სერიოზულობას მომენტის სწორი შერჩევა და 5,5 მილიარდი დოლარი ამყარებდა.

როდესაც სტალინს უთხრეს, რომის პაპი სსრკ-ს დაუპირისპირდაო, სტალინმა ცინიკურად იკითხა, რამდენი დივიზია ჰყავს რომის პაპსო? მიხეილ სააკაშვილი ყველაფერს ფულში ზომავს და მისთვის ივანიშვილის 5,5 მილიარდს დაახლოებით 100 დივიზიის წონა მაინც აქვს. სწორედ ამიტომ, 7 ოქტომბრამდე რამდენიმე დღის განმავლობაში, როცა ივანიშვილის გაპოლიტიკოსების შესახებ მისმა პრეს-ცენტრმა განაცხადა, პროსახელისუფლებო სექსპერტების მთავარი გამოსვლის თემა შემდეგი იყო: რა იცით, რომ ივანიშვილი მიშას თამაშს არ თამაშობს?

მელას რაც ესიზმრებოდაო ამაზეა ნათქვამი, არ აუხდათ ოცნება!

როდესაც ბიძინა ივანიშვილმა მაგარ მიშას ხელთათმანი ესროლა, დარწმუნებული ვარ, სააკაშვილს არაფერი ისე არ უნდოდა, როგორც ბიზნესმენ გელაშვილის დასასჯელად გაგზავნილი ნიღბიანი ზონდერჯგუფის გაგზავნა, მაგრამ გარდა მაგიური 5,5 მილიარდისა, არის კიდევ ორი ფაქტორი, რაც მიშას სერიოზულად აშინებს: ერთი ის, რომ მიშამ, კარგად იცის, როგორ მოიყვანეს და ალბათ ხვდება, როგორ წაიყვანენ... მიშას მოყვანის დროს შევარდნაძისთვის ბევრი პიროვნების და განსაკუთრებით აშშ ადმინისტრაციის.და ჯეიმს ბეიკერის მხრიდან „მიტოვება“ მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა იყო. შევარდნაძე პირიქით, ელოდა, რომ მეგობარი ჯიმი ავარდნილ ახალგაზრდებს ჭკუას დაარიგებდა.

მიშასთვის ივანიშვილის გაპოლიტიკოსება მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნაა - ჯაცმა ამდენი იწვალა, საპრემიერო სკამი მოირგო, ...

მიშასთვის ივანიშვილის გაპოლიტიკოსება მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნაა - კაცმა ამდენი იწვალა, საპრემიერო სკამი მოირგო, ქრისტიან - დემოკრატების შემდეგ აქამდე აქტიურად მებრძოლი ახალი მემარჯვენეებიც მშვენივრად გადაიბირა (სულ რაღაც ერთი ჭირიანი მილიონის და რამდენიმე დამატებითი საპარლამენტო ადგილის დაპირებით), ბურჯანაძის ქმარი ძებნაში გამოაცხადა, რვიანის შემდეგ ექვსიანიც დაშალა, არც სანდრო გირგვლიანის საქმის და არც 26 მაისის რეალურად გამოძიებას (სიაფანდ გამოძიებებს არ ვთვლი) არ აპირებს და აი, ასეთ დროს მიშა უდავოდ ფიქრობს - ვინ იცის, იქნებ ამერიკელებმა იცოდნენ კიდეც მან რომ არ იცოდა, ეს რისი ბრალი იყო - იმის, რომ ივანიშვილია ასეთი მოხერხებული, თუ იმის, რომ ამერიკელებმა სხვაზე დადეს ფსონი?

მეორე სერიოზული ფაქტორი ისაა, რომ მიშა ჩაშვებულია! შუქურა კი არა, მაგარი გაბანძებული მასტია, რომელსაც უბრალოდ იმიტომ არ უძახიან ბანძს, გამყალბებელს და კრიმინალს, რომ არ უნდათ საქართველოში კიდევ ერთი გადაყენებები და არასტაბილურობა იხილონ. ჰოდა, როცა ყველამ იცის შენი ბანძობის ამბავი უკვე შენი მრავალჯერ მოყოლილი ბანძი ზღაპრებისაც არავის სჯერა შეიძლება ერთხელ დაუძახო მილიარდერს (მილიონერებსაც) „რუსეთის აგენტი“ და მაშინვე დაგიჯერონ, მაგრამ როცა ამას მეათედ აკეთებ!.. თან მეათედჯერვე ზუსტად ერთნაირად „არ გახსოვდა“, რომ ეს კაცი რუსეთში გამდიდრდა, სანამ შენ გაფინანსებდა, გიშენებდა ობიექტებს, და უცებ „გაგახსენდა“, როგორც კი განგიდგა! მისი ფულის „პუტინური წარმომავლობის“ შესახებ არ ფიქრობდი, როცა ხელს არ გიშლიდა და უცებ „გაგახსენდა“, როგორც კი შენი ოპონენტი გახდა!

მრისხანედ გამოდიან ხელისუფლების მოსამართი თოჯინები და გულზე მჯიღისცემით თვალებს აბრიალებენ - რუსეთში გაკეთებული ფულით არ მოვუშვებთ, ვერ იბოგინებს რუსული კაპიტალიო... არ გაგივათ ბატონო ბოცო წიკლაურო და უდიდესო კანონშემოქმედო ლაშავ თოდრიავ - კახა ბენდუქიძე, მა რა ჩემის ფეხები „ქართველი“ ბიზნესმენია? ფული სად იშოვა ბენდუქიძემ? და დიდმა ჰოლივუდის ბაბოჩკიანმა პროდიუსერმა - კობა დე ლაურენტის ნაყოფიამ სად მოაგროვა კაპიტალი? და საერთოდ ვინ არის რუსი ოლიგარქი გენერალოვი და ვისი ძმაკაცობით ჩაიგდო ხელში „მადნეული“, ქართული ოქრო და ქართული სპილენძი?

ნუ ახლა, რომელიღაც საშუალო სტატისტიკური ჟუჟუნა ჯერ კიდევ შეიძლება დაკეროს ამ რუსული კაპიტალით გამძღარი ხელისუფლების „რუსული კაპიტალის აუტანლობამ“, მაგრამ უკვე დიდი უმრავლესობა ხვდება, რომ ხელისუფლება, რომლისთვისაც ფული აბსოლუტურად არ ყარს, სანამ ეს ფული მათ ჯიბეში მიჩხრიალებს, საოცრად აზიზი და აღშფოთებული მაშინ ხდება, თუ ფულის ნაკადმა მიმართულება იცვალა.

როცა 7 ოქტომბერს ივანიშვილმა პიონერული ფიცივით გამოაცხადა რუსულ და ფრანგულ პასპორტებს ჩავაბარებ და მხოლოდ საქართველოს მოქალაქედ დავრჩებიო, ორმა ურთიერთ გამომრიცხავმა აზრმა გამიელვა თავში - ხომ არ ჩქარობს ჩაბარებას? (განსაკუთრებით - ფრანგული პასპორტის ჩაბარებას).

- ხომ არ დააგვიანა ჩაბარება?

მიშას ვაშამ არ დააყოვნა და მარადმოზეიმე ვაშაძემ უკვე „დაახლოებით 9-10 ოქტომბერს“ (ეს ძალიან მომწონს, რომ ასეთ აწყობილ ქვეყანაში ვერ გაირკვა, როდის მოხდა ყველაზე მდიდარი ქართველის განპასპორტება და პანიკოვსკის რანგში გადაყვანა!) უპატაკა პარტიას და მთავრობას - მთავარი საფრთხე ლიკვიდირებულია, პასპორტი ანულირებულია და კენჭის ყრას კი არა, ვინმესთვის ფულის მიცემასაც ვეღარ მოახერხებს აწი.

სვლა იმდენად ელვისებური და დამანგრეველი იყო, რომ კიდევ ერთხელ უნდა გავიმეორო - ამ სიდამპლეთ უხუცესებს სიდამპლეების ჩაფიქრების, მოფიქრების და რეალიზების ჯოჯოხეთური პოტენციალი აქვთ - ამაში მართლა მაგრები არიან!

მაგრამ ყველა მედალს აქვს თავისი მეორე მხარე!

მიშას მიერ განხორციელებულმა პასპორტის აორთქლებამ - ჩემი მოცემული იყო და მევე წაგართმევო! რამდენადაც ბიძინა ივანიშვილს სერიოზული პრობლემები შეუქმნა (კიდევ ერთხელ

(გაგრძელება მე - 4 გვერდზე)

სარფიდან-ჩოლოქამდე

11-18 ოქტომბერი

ივანიშვილის კომენტარი

„ხელისუფლებას პოლიტიკური პროცესებიდან ჩემი გარიყვა სურს, თუმცა მე გაჩერებას არ ვაპირებ“, ასე აფასებს ბიძინა ივანიშვილი მისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევის ფაქტს Reuters-თვის მიცემულ ინტერვიუში.

„თუ ისინი ეცდებიან, რომ არჩევნებში მონაწილეობის საშუალება არ მომცენ, მაშინ არჩევნები ლეგიტიმურად არ ჩაითვლება“, - ამბობს ბიზნესმენი.

„ჯერ ადრეა იმაზე საუბარი, ჩვენ შევქმნით ბლოკს, თუ ეს იქნება პარტია... ამჟამად ჩვენ მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ ოპოზიციის ჯანსაღ ნაწილთან“, - აცხადებს ივანიშვილი.

მისივე თქმით, საპარლამენტო არჩევნების აბსოლუტური უმრავლესობით მოგების 90%-იანი ალბათობა არსებობს.

შევარდნაძე ივანიშვილს დაცვის გაძლიერებისკენ მოუწოდებს

პირველი. საქართველოს ექს-პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის შეფასებით, ბიძინა ივანიშვილზე უკეთეს საპრეზიდენტო კანდიდატს "ვერ ვნახავთ".

როგორც ედუარდ შევარდნაძემ "პირველს" განუცხადა, ივანიშვილი ჭკვიანი, გონიერი ადამიანია, რომელსაც, ერთის მხრივ, ხალხი ძალიან უყვარს, მეორეს მხრივ კი ფულის ფასი იცის.

- მართალია, ბიძინასთან ბევრი რამ მაკავშირებს, მაგრამ ამ გადაწყვეტილების შესახებ არ ვიცოდი. ჩემთვის მისი პოლიტიკაში მოსვლა მოულოდნელი იყო, თუმცა რადგან ეს გადაწყვიტა, მას მხარდაჭერას ვუცხადებ და იმედი მაქვს, რომ წარმატებას მიაღწევს. ბიძინას წარმატების დიდი შანსები აქვს. ის ჭკვიანი, გონიერი ადამიანია, კაცური კაცია, რომელსაც ხალხი ძალიან უყვარს. იცის ფულის ფასიც და ბევრს ეხმარება, - განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ და დასძინა, რომ ამ ეტაპზე საქართველოს პრეზიდენტობის მასზე უკეთესი კანდიდატი არ ჰყავს.

- ივანიშვილზე, როგორც საპრეზიდენტო კანდიდატზე დიდი ხანია, ვფიქრობ, თუმცა მეგონა, რომ ის პოლიტიკაში არ მოვიდოდა. ახლა, რადგან ეს გადაწყვეტილება მიიღო, შემიძლია, ვთქვა, რომ უკეთეს კანდიდატს ვერ ვნახავთ. სხვებიც მოიძებნებიან, მაგრამ ბიძინა თავისი ცოდნითა და გამოცდილებით ყველაზე გამორჩეულია, - ასე უპასუხა საქართველოს ყოფილმა პირველმა პირმა "პირველის" კითხვას, "ხომ არ გულისხმობდა სწორედ ბიძინა ივანიშვილს სააგენტოსთვის დაახლოებით ერთი წლის წინ მიცემულ ინტერვიუში, რომელშიც განაცხადა, რომ მას "წარმატებული შუახნის ქართველი მამაკაცის სახით საკუთარი საპრეზიდენტო კანდიდატი ჰყავდა".

ედუარდ შევარდნაძე გაპოლიტიკოსებულ ბიზნესმენს რჩევასაც აძლევს და დაცვის გაძლიერებისკენ მოუწოდებს, რათა "ბადრი პატარკაციშვილის მიერ პოლიტიკაში დაშვებული შეცდომები არ გაიმეოროს".

- დაცვას უნდა მიხედოს. დაცვა, დაცვა და დაცვა! მე რომ დაცვა არ მყავდეს, ამ სახლში ვერ ვიცხოვრებდი, - აღნიშნა ქვეყნის ექს-პრეზიდენტმა.

აჯარა P.S. - 2011 წლის 18 ოქტომბერი №23 (618)

გაზეთი არის საქართველოს
რეგიონული მედიის ასოციაციის
სრულუფლებიანი წევრი

„ცუგცვანგის“ პირას

(მესამე გვერდიდან)

ვიმეორებ, თუ ფორმალურად ვერ შეედავენ იმაში, რომ კანონის ფორმულირება - "საქართველოს მოქალაქე, მის მიერ მეორე ქვეყნის მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში, კარგავს საქართველოს მოქალაქეობას" ძალიან სერიოზული არგუმენტია - ასეთი ყველაფრის მკადრებელი იურისპრუდენციის სისტემის ქვეყანაში), იმდენად ისიც აშკარაა, რომ რეჟიმის ეს სვლა თავისი ბრწყინვალების გარდა რეჟიმის განწირული ფართხალის ნიშანიცაა რამდენიმე ასპექტის გამო:

1) რეჟიმი აცხადებს, ბიძინა ივანიშვილმა დაგვიმალა საფრანგეთის მოქალაქეობის მიღების ფაქტი, თორემ მაშინვე შეეუწყვეტდით საქართველოს მოქალაქეობასაცო!

დავიჯერო, საქართველოს ყოვლისმცოდნე იუსტიციის მინისტრმა, რომელიც ყველას შემოსავლებს ელექტრონული სისტემით მისხალ-მისხალ ითვლის და მერე მდიდარ გასატყავებლებს ზუსტად იმდენს აჭრის, რომ მთლად სისხლისგან არ დაიცალონ, და რომელიც ამავე დროს ქვეყნის მოქალაქეთა აღრიცხვის ბაზის - რეესტრის მეპატრონეცაა, არ იცის და 5 წელია ვერ იგებს თუ გამოეპარა, რომ მისი ყველაზე მდიდარი მოქალაქე, რომლის კაპიტალი საქართველოს წლიურ ბიუჯეტზე მეტია, სხვა ქვეყნის მოქალაქეცაა?

2) დავიჯერო, მილიარდერის გაფრანგება გამოეპარა პრეზიდენტ სააკაშვილის დიდ მეგობარს და ჟამთააღმწერელს, საფრანგეთის მოქალაქეს რაფაელ გლუქსმანს და მის თანამეცხედრედ აღვლენილ შსს მინისტრის მოადგილეს უსათნოესს ეკა ზღულაძეს?

3) დავიჯერო, საქართველოს პოლიტიკური ისტებლიშმენტის არც ერთ სხვა პირს არ აქვს მიღებული უცხო ქვეყნის მოქალაქეობა საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნებით?

ძალიან მაინტერესებს ბესო ჯუღელი, რუსეთში საქართველოს ყოფილი ელჩი, ირაკლი ჩუბინიშვილი, აშშ-ში საქართველოს ამჟამინდელი ელჩი, ისრაელის მოქალაქის ალექსა ფრენკელის მეუღლე, დიდი ინტეგრატორი თემურ იაკობაშვილი (გამიგია, რომ მას ორმაგი მოქალაქეობა გააჩნია). ნუ, დიდი ორპატრიოტის - საგარეო საქმეთა მინისტრის გრიგოლ ვაშაძის ამბები - როგორ ევნო და ეწამა რუსეთის პასპორტის ჩაბარებაზე ომგადატანილი კაცი, ყველაფერი ვიცით. რეესტრს (სადაც უფროსი ასევე ვაშაძეა) ვაშაძის ორპასპორტიანობა ისევ „გამოეპარა“.

ბიძინა ივანიშვილმა რუბიკონი მაშინ გადალახა, როცა 7 ოქტომბერს სააკაშვილს გამოუცხადა, მოვდივარ და დამიხვდიო! სააკაშვილმა კი მაშინ ჰყარა წილი, როცა ივანიშვილის მოქალაქეობა გააუქმა. ამით ფაქტობრივად აღიარა, ამ კაცის მომგები მე არ ვარ და ნებისმიერი მეთოდით უნდა მოვიშორო, რომ საარჩევნო ყუთებთან ამის სახელი არ გაჭაჭანდესო...

წილი ნაყარია და მდგომარეობა პროგრესულად და გეომეტრიული სიჩქარით დაიძაბება. საქმე იმაშია, რომ ნერონის და მილიარდერი მოქალაქის ბრძოლაში ფრე და უკანდახევა გამორიცხულია.

მიშას სიძლიერე მითიურია.

ადამიანი, რომელსაც რეალურად ქვეყნის მოსახლეობის ალბათ მეხუთედიც კი არ უჭერს მხარს, რომელმაც ქვეყანა გააღატაკა და დაშლის პროცესი გააღრმავა და რომელსაც იმის ამბიცია აქვს, რომ აღმაშენებელია, მხოლოდ მითოსით შეიძლება გახდეს მაგარი.

** წილი ნაყარია და მდგომარეობა პროგრესულად და გეომეტრიული სიჩქარით დაიძაბება. საქმე იმაშია, რომ ნერონის და მილიარდერი მოქალაქის ბრძოლაში ფრე და უკანდახევა გამორიცხულია...**

საქმე უკვე იქამდე მივიდა, რომ მისმა კარის მასხრებმა მისი ლაჩრობის დამადასტურებელი ობიექტური სტიგმები - ჰალსტუხი, გაქცევა, პანიკური შიში ფეტიშიზაციის ობიექტებად აქციეს და საჭმელი ჰალსტუხის გამოშვება დაიწყეს!

მაგრამ მითიური სიძლიერე მოჩვენებითია და მითის მუდმივი გამეორების გარეშე შეიძლება ხუხულასავით დაინგრეს. ასეთ დროს საკმარისია ხალხმა დაინახოს, რომ თურმე არსებობს ადამიანი, რომელსაც მიშასი არ ეშინია, რომ ჯერ იწყება პატარკაციშვილ-ოქრუაშვილის სინდრომი („ნახეთ, მაგასაც როგორ მოიშორებენ!“), რომელიც მითის გაუმაგრებლობის შემთხვევაში სწორედ მითის დანგრევას იწყებს - „ერთი უყურე! ვერ იშორებენ! მაგრები კი არა, ეშინიათ ამისი!“)

ასე რომ, დრო ივანიშვილზე თამაშობს. თითოეული დღე, როცა მიშა გროგშია და ხმას არ იღებს (ტურების კნავილი არ ითვლება), ხალხის ცნობიერებაში იმ საკნების პერიოდის მიშას აბრუნებს, რომელსაც სასახლის ეზოში სტაფილოებს უყრიდნენ და რომელიც თვეობით მოკვეთილი იყო თბილისიდან. თუმცა ისიც აშკარაა, რომ თუ ივანიშვილი მხოლოდ ეპისტოლეებით განაგრძობს ხალხთან კონტაქტს, მალე ხალხს იმის ეჭვი გაუჩნდება, საერთოდ არსებობს თუ არა რაინდი და თუ არსებობს, მართლა პარიზში ხომ არაა დამიჯერეთ, საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი, მიუხედავად იმისა, რაინდობის სიგელები არასდროს გამომიქვეყნებია.

ივანიშვილის საკმაოდ ზუსტი დარტყმები:

- სააკაშვილის სატელიტი გაყიდული ოპოზიციის ჩამოთვლა, და მკაცრად გამიჯვნა. გამოგიტყდებით, ლევან გაჩეჩილაძეზე და სოზარ სუბარზე გული მწყდება, ხოლო ეროსი კიწმარიშვილის და ირაკლი ოქრუაშვილის მხრიდან შესაძლო სარგებელი გადასაგდებად არ მემეტება (არ დაგიმალავთ, გამიკვირდა, თუ სააკაშვილის გვერდით მყოფებს არამც თუ პალიკო კუბლაშვილს და მისი რანგის ოფოფების, არამედ მერაბიშვილის და ადეიშვილის მასშტაბის ბელზებელების გამოსწორების იმედი აქვს ივანიშვილს, ეს კიწმარიშვილი და ოქრუაშვილი რა გახდნენ ასე გამოუსწორებლები), მაგრამ, იმედია, ივანიშვილს რაიმე არგუმენტები აქვს საამისოდ, ანდა, თუ არ აქვს, პოლიტიკაში ყველაფრის მოტრიალება შეიძლება...

რაც შეეხება სატელიტებს, მართლაც მარაზმი იყო ის სიტუაცია, როცა უცხოელები ჯერ სახელისუფლებო უმრავლესობას ხვდებოდნენ და მერე იმ მასშტაბის „ოპოზიციას“, როგორიცაა მიშმადიდებელი მაია ორჯონიკიძიანი და ლევან ჩოლოყაშვილიანი, გია თორთლაძის პადოშ-დემოკრატიული პარტია, პარტია "მე თვითონ"- ს ლიდერი თვითონ პაატა დავითაია და განსაკუთრებით - სულიკოსავით კორუფციის მაძიებელი და ვერმპოვნელი ერთდროს ეროვნულ-დემოკრატიული გურამ ჩახვაძე და მისი ოფისზე შეყვარებული ბაჭუკი ქარდავა! ამ ფონზე გაცილებით სერიოზული ქრისტიან-დემოკრატებისა და ახალი მემარჯვენეებისაგან ზარალიც გაცილებით სერიოზულია, რადგან სააკაშვილის იმიჯის სერიოზულად გამათეთრებელი სწორედ ეგენიარიან. აქვე იმაში დავეთანხმები ივანიშვილს, რომ ამ პარტიებში ალბათ არის ერთეული პატიოსანი ხალხი, რომელთაც მართლა შეიძლება სჯეროდეთ, რომ გამწვანებული დავით გამყრელიძე ქუთაისიდან გაანთავისუფლებს საქართველოს და ან რომ „5-10-უფასო“ გია ჭანტურია გიორგი თარგამაძემ სამერო კანდიდატად თავად გამოჩ-

(დასასრული მე - 5 გვერდზე)

სარფიდან-ჩოლოქამდე

11-18 ოქტომბერი

ჯახი ჯალაძის განცხადება

საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების კაპიტანმა კახი კალაძემ სოციალურ ქსელ Facebook-ის მეშვეობით განცხადება გაავრცელა. გთავაზობთ განცხადების ტექსტს.

„ძვირფასო მეგობრებო, დებო და ძმებო, როგორც თქვენმა თანამემამულემ საჭიროდ ჩავთვალე, რომ ჩვენი ქვეყნისთვის ამ უმძიმეს დროს გამეკეთებინა განცხადება, მართალია სპორტსმენი და აპოლიტიკური ადამიანი ვარ, არ ვეკუთვნი არც ერთ პოლიტიკურ პარტიას თუ გაერთიანებას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არ დავაფიქსირო ჩემი აზრი და არ გამოვხატო ჩემი შეხედულება, მით უმეტეს, როდესაც საქმე ეხება ჩემს სამშობლოს, რომელიც გზა გასაყარზე დგას, დანაწილებულ-დაქუცმაცებული, გავერანებული და გაპარტახებული. სულისშემძვრელია, როდესაც საქართველოს ქალაქების ქუჩებში უყურებ დანაღვლიანებულ-დამწუხრებულ სახეებს, საქართველოს მოქალაქეებს წაართვეს ღიმილი, სიცილი, ბედნიერების შეგრძნება. ადამიანებს დამამცირებლად წაგლიჯეს შრომის, განათლების და კერძო საკუთრების უფლებები. ციხე-კოლონიები სავსეა პატიმრებით, რომელთა გარკვეული კონტინგენტი ციხეში მხოლოდ იმიტომ ზის, რომ მმართველი რეჟიმის ზოგიერთ წარმომადგენელს ასე სურს. ყოველივე ეს ერთ დღეში არ წაურთმევიათ, ადამიანთა ერთმა ჯგუფმა უკვე წლებია რაც გადაწყვიტა ხელოვნურად შეექმნათ ქართველთა ახალი სახე, რომელიც აბსოლუტურად განსხვავდება კარგი გაგებით ტრადიციული ქართველისაგან და საქართველოს მოქალაქისაგან. გათელილი და დაკნინებულია თითქმის ყველა ტრადიციული დღესასწაული თუ საზოგადოებისათვის საყვარელი ადამიანი, ხოლო მათი ჩანაცვლება ხდება ყალბი გმირებით და თითიდან გამოწოვილი, ილუზიური დღესასწაულებით, შენდება „პოტიომკინის“ სოფლები და ქალაქები.

მართალია ჩვენს მოქალაქეებს იძულებით, შიშითა და შანტაჟით ყველაფერი წაართვეს, რის წართმევაც შეეძლოთ, მაგრამ ვერ წაგვართვეს ღირსება! ეს არ არის შაბლონური და ტრაფარეტული ფრაზები, ყელში სისხლი მაწვება, როდესაც სამშობლო ასეთ გასაჭირშია და შველას ითხოვს. მივმართავ ყველას და განსაკუთრებით ჩვენს ძვირფას თანატოლებს, ახალგაზრდობას, სტუდენტებს: მეგობრებო,როდესაც ასეთი მძიმე წუთებია ერისათვის, მამულისათვის, სარწმუნოებისათვის, გავაღვიძოთ ჩვენში წინაპართა სისხლი, ხმამაღლა და ერთად გამოვთქვათ საყოველთაო პროტესტი ადამიანთა ჩაგვრისა და დამამცირებელ სიტუაციაში ჩაყენებისათვის. ახალგაზრდობა დიდი ძალა ვართ, გვერდით დავუდგეთ ჩვენს მშობლებს და ერთად ბევრს მივაღწევთ.

წავიკითხე ცნობილი ბიზნესმენის და მეცენატის, ბატონ ბიძინა ივანიშვილის განცხადება, პირადად არ ვიცნობ ბატონ ბიძინას, მაგრამ აღნიშნულ წერილში არის ისეთი ფრაზები, რომელმაც არ შეიძლება, რომ საქართველოს მოქალაქეები არ დააფიქროს. მთელ რიგ საკითხებში ჩვენი ხედვა სამშობლოს აწმყოსა და მომავალზე ერთნაირია.

ბატონო ბიძინა, მიიღეთ ჩემი მეგობრულად გამოწვდილი ხელი და როგორც ერთი რიგითი ქართველი, მიგულეთ თქვენს გვერდით. მჯერავს დღეს ერთი ვარ, მაგრამ ხვალ უკვე ათასობით თქვენს გვერდით მყოფი იქნება, ზეგ კიდევ მეტი...

„ცუგცვანგის“ პირას

(დასასრული)

წავლებლად და არა მერაბიშვილის კურთხევით. მე პირადად ახვლედიანი და ანიკაშვილი მესიმპატიურებიან მაგდა - განსაკუთრებით, ადრე ფიქრია ჩიხრაძეს და მანანა ნაჭყებიასაც პატივს ვცემდი, მაგრამ ფიქრიამ ისეთი დემაგოგიის კლასი აჩვენა მაესტროს ეთერში, რომ ხმა ჩამივარდა...

რესპუბლიკელების და ალასანიას მოზიდვას ორი სერიოზული პლიუსი აქვს - რესპუბლიკელებს ნამდვილად ყველაზე სერიოზული ინტელექტუალური რესურსი აქვთ და ორივეს ერთად, განსაკუთრებით ალასანიას - ამერიკულ ისტებლიშმენტზე გასვლის გზები საკაშვილის მთავარი არგუმენტი და დარტყმის მთავარი მიმართულება ხომ ყოველთვის ეგ იქნება - „ივანიშვილი - რუსული პროექტი“ ჰოდა, ახლა „ივანიშვილი, რესპუბლიკელები და ალასანია - რუსული პროექტი“ ძაან ფანტასმაგრიულად ჟღერს და მიშას დარტყმას პირს უბლაგვებს! მიშასთვის უკეთეს შემთხვევაში ეს „რუსულ-ამერიკულ პროექტად“ შეიძლება მონათლოს, მაგრამ არის კი „რუსულ-ამერიკული პროექტი“ მიშასთვის უკეთესი შემთხვევა? თუ ყველაზე საშიში ვარიანტია - დაჯდნენ ამერიკელები და რუსები და მოითათბირეს, როგორ მოეშორებინათ ყელში ამოსული ნაგიჟარი. (სინამდვილეში მე არ მგონია, რომ ასე იყოს, მაგრამ მიშას თუ ეგონება, მით უკეთესი).

რა რესურსი აქვს მიშას?

ცეცხლის გაჩენა ივანიშვილის სახლის მახლობლად შემთხვევითი არ მგონია და ალბათ, ნერვული სისტემის შემოწმებაა. არაა გამორიცხული, მიშას კუდმა და სოდმა იგივე ღამით გაიმეორონ, მეტი ეფექტის მოსახდენად. რეალურ საფრთხემდე საქმე არა მგონია, მივიდეს. უბრალოდ, მიშამ კარგად იცის, რომ მისნაირი ჩამოლაბორანტებული რეპუტაციის დროს მოწინააღმდეგის განადგურება კი არა, დაშინება უნდა სცადოს.

რამდენიმე გაცვეთილი ხერხი, რომელსაც მიშა ალბათ გამოიყენებს

- ზეწოლა ბიზნესზე - ქართუ ბანკის შემოწმება საგადასახადოს მიერ.

- ზეწოლა ოჯახზე - თვალთვალი, კუდის და სოდის მანქანების გამოჩენილად დაყენება ოქროყანის გზაზე, ივანიშვილის სახლის ზემოთ ვერტმფრენების გადაფრენები და ა.შ

- კომპრომატების ომი. დაწყების ნიშანი ის იქნება, რომ ხათუნა გოგორიშვილი „ბორის ივანიშვილის“ ხსენებას დაიწყებს, ხოლო მიშა საკუთარი პირით კი არა, სწორედ სატელიტების პირით დაიწყებს იმის მოყოლას, როგორ საშინელ დღეში აგდებდა ივანიშვილი ბადრი პატარკაციშვილს. შეიძლება ეს საპატიო მისია დავით გამყრელიძეს დაეკისროს, რადგან პატარკაციშვილის ოჯახს პირდაპირ აქვს გაცხადებული - გიორგი თარგამაძემ გვიღალატაო და მის დღევანდელ დაგესვლას ნაკლები ეფექტი ჰქონდა. არა მგონია, თარგამაძემ ის დაამტკიცოს, რომ მასზე მეტად ბიძინამ მოუკლა გული ბადრის!

- კომპრომატების ომში ხელისუფლება აქტიურად ჩართავს ზვიადისტებს. შეიძლება ნაფტალინიდან მრავალჯერ დავიწყებულ-გახსენებული მანანა არჩვაძეც კი შემოიყვანონ. თუ არადა აგერ არაა თმაქოჩორა ქორი თემურ ქორიძე? კოკოც თურმე ჯერ არ წაკოკოებულა სამეტროლოგიოდ, ჰოდა იქნება იმის უსასრულო ფანტაზიები, როგორ აფინანსებდა კიტოვანს და იოსელიანს მილიარდერი ივანიშვილი!

- მაესტროზეც და კავკასიაზეც გაიზრდება ზეწოლა! კვირის პალიტრას განუახლებენ იმ დაუსრულებელ შემოწმებას.

- ალბათ საჩხერესა და ჭორვილაზეც მიიტანენ შეტევას - დენს გათიშავენ. საავადმყოფოს წყალს გამოურთავენ ეცდებიან იქაური ხალხი ივანიშვილის წინააღმდეგ გამოიყვანონ ტელევიზიაში.

მაგრამ ზეწოლის ეს ხერხები უკვე ნაცნობია და ძირითადად იმის განცდას გააძლიერებს, რომ მურტალოს მეთოდები დაუძველდა.

ციტნოტში ყოფნა და იმის განცდა, რომ უმოქმედობა დამღუპველია, იმის საწინდარი იქნება, რომ მიშა იცანცარებს და მეტ შეცდომას დაუშვებს.

ბიძინა ივანიშვილმა უნდა იცოდეს, რომ კედელთან მიმწყდეული ტურების და აფთრების ხროვა გამოუსვლელობისაგან ბევრ რამეზე წამსვლელია.

ყველაზე მეტად მაინც სხვა პირებზე ზეწოლას ეცდებიან. ამიტომ შევარდნაძის რჩევას - დაცვა გააძლიერეო, ალბათ ერთი დაზუსტება უნდა - ყველა იმ ადამიანის დაცვა, ვინც ბიძინასთვის ახლობელია.

ერთი რამ მინდა ვთქვა - საკაშვილმა უნდა იცოდეს, რომ რაზეც წამსველილია, მის მიმართაც შეიძლება იგივეზე წავიდნენ მხოლოდ მაშინ, თუ ის და მისი შანტრაბა ამას გაისიგრძეგანებს, შეიძლება იმედი გვქონდეს, რომ სისულელეს არ ჩაიდენს! თუმცა ამის გარანტია არ არსებობს, რადგან მისი სტიქია - სისულელეების ჩადენაა!

არ ვიცი, ღირს თუ არა ვილაპარაკო იმაზე, რაც ბიძინა ივანიშვილის მხრიდან სერიოზულ შეცდომად მიმაჩნია. პრინციპში უკვე ითქვა და მეც ვეთანხმები - ჟურნალისტებთან ასეთ ტონში ლაპარაკი მიუღებელია. და მე რომ ჟურნალისტებს და ურნალისტებს სერიოზულად ვანსხვავებ, მგონი, ამაში ეჭვის შეტანა ძნელია. ურნალისტები მე პირადად, აბსოლუტურად ნამუსაყრილ კასტად მიმაჩნია, რომელთაც დარწმუნებული ვარ, სერიოზული გამოცდის ჩაბარება მოუწევთ, რომ საზოგადოებასთან თანაცხოვრება შეძლონ.

საკაშვილმა უნდა იცოდეს, რომ რაზეც წამსველილია, მის მიმართაც შეიძლება იგივეზე წავიდნენ□მხოლოდ მაშინ, თუ ის და მისი შანტრაბა ამას გაისიგრძეგანებს, შეიძლება იმედი გვქონდეს, რომ სისულელეს არ ჩაიდენს!

არც სოსო ცინცაძის და რამაზ საყვარელიძის ერთ ქვაბში მოხარშვა მგონია სწორი, არც დავით აქუბარდიას ასე ქება-განქიქება და არც მაესტროს ასე „გიყიდი-ვიყიდის“ ანონსირება.

არ შემიძლია არ ვთქვა, რომ ია ანთაძეს არაფერი სჭირს არც ჩემი დასაცავი და არც ბიძინა ივანიშვილის ხელწამოსაკრავი. ია ანთაძე ქართული ჟურნალისტიკის სინდისია და პროფესიონალიზმის დონეა და იმაში ეჭვის შეტანა, რომ ის თურმე მიშას საქმეს აკეთებს, უბრალოდ უხერხულია, რადგან მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ბატონი ბიძინა ქალბატონ იას ნაწერებს ცუდად იცნობს და მისი ზოგიერთი გამოთქმა გადმოცემით იცის, იქნებ იმავე გაგა ჩრდილელის გადმოცემით? ია ანთაძე არასდროს იტყოდა მიშა საკაშვილი პროდასავლელი, დემოკრატი და ლიბერალიაო, ის, რომ თავად დასავლეთი განიხილავს მას ასეთად, ესაა ჩვენი და დასავლეთის ურთიერთობებში სერიოზული პრობლემა!

ბიძინა ივანიშვილს არ უნდა ჰქონდეს არც მოლოდინი და არც სურვილი, რომ ის ყველამ მესიად აღიქვას და მისდამი კითხვები გაუქრეთ. მთავარია, რომ ჩემსავით და იასავით, ქვეყნის დიდმა უმრავლესობამ ის მიშასთან შედარებით გაცილებით უკეთესად აღიქვან და იმ ადამიანად, რომელიც საკაშვილის ქვეყნისთვის დამღუპველი კრიმინალური ბანდის თარეშს ბოლოს მოუღებს.

ყველაზე რთული საკითხი, რამაც ზოგიერთი ადამიანის ძალზე ემოციური გამწარება და გაწიწმატება გამოიწვია მერაბიშვილისთვის, ადეიშვილისთვის და სხვა ნაკლები მასშტაბის მიშისტი კრიმინალებისთვის ნიჭიერი ორგანიზატორების წოდების მინიჭება და სათანამშრომლოდ ხელის გაწოდებაა.

ვაღიარებ, ჩემთვის ასეთი პოზიცია მიუღებელია!

ვაღიარებ, დღეს, როცა მე ჩირგვში ვზივარ და ჩემი ვირტუალური მეგობრების იმაში დარწმუნებაც არ შემიძლია, რომ სულაც მერაბიშვილის აგენტი არ ვარ, როცა მე არაფერს ვრისკავ - არავითარი უფლება არ მაქვს ასეთ სერიოზულ საკითხზე ადამიანს, რომელმაც ქვეყნის გადასარჩენად სერიოზულ რისკზე წასვლა გადაწყვიტა და ძალიან სერიოზულად სასწორზე შეაგდო თავისი და თავისი ოჯახის ბედი - მე არავითარი (!) მორალური უფლება არ მაქვს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს ჩემი აზრი თავზე მოვახვიო! ის მიდის ომში და მან უნდა გადაწყვიტოს, ამ ომში ვის და როგორ დაუპირისპირდება. ფასი - სამშობლოს გადარჩენა - ძალიან მაღალია და იქნებ ძალიან სერიოზულ დათმობებზე მოგვიწიოს წასვლა, იმისთვის, რომ სამშობლო გადარჩეს და არ დაიქცეს! ამიტომ, მართალი გითხრათ, ვერ ვამართლებ ლამის ისტერიკამდე მისულ ამ შეძახილებს და მუხრუჭებს.

გაგა ჩრდილელი მარტო არ იქნებოდა თუ იყო კიდეც, დარწმუნებული ვარ სანიმუშო ორგანიზატორი ვანო დღეს ახალი ჩრდილელების მოძებნითაა დაკავებული და მიშა ამაში დაუფიქრებლად ჩადებს ხალხის ძარცვით შეძენილი ქონების ძალიან დიდ პროცენტს, რომ მომავალშიც ჰქონდეს ხალხის ძარცვის შეუზღუდავი უფლება.

როდესაც ვახსენე ადამიანები და ინსტიტუტები, რომლებზეც რეჟიმმა შეიძლება ირიბი შეტევები მიიტანოს ივანიშვილის პოზიციების შესასუსტებლად, ალბათ აქ არც ეკლესია და მისი წინამძღოლი უნდა გამოირიცხოს.

დავით ზურაბიშვილის სიტყვები, რომელთაც 100%ით ვიზიარებ: - რა დამოკიდებულებაც არ უნდა გვქონდეს ბიძინა ივანიშვილის პერსონის, მისი საქმიანობის თუ პირველი განცხადებების მიმართ. ერთი რამ ცხადზე უცხადესია - არსებულ სიტუაციაში მისი გამოსვლა პოლიტიკურ ასპარეზზე არის ხელისუფლების დაბალანსებისა და შეცვლის პრაქტიკულად ერთადერთი შანსი.

გამომდინარე იქიდან, რომ ივანიშვილს აქვს პატრიოტისა და ქველმოქმედის რეპუტაცია, პლუს დიდი ფინანსური რესურსი, მას თავისუფლად შეუძლია საკაშვილის ხელისუფლების საპირწონე ძალის ჩამოყალიბება, რაც არის ცალსახად კარგი და არა უბრალოდ კარგი, არამედ გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე.

ალბათ, ახლა ჩემი ქვეყნის ე.წ. „უშიშროების საბჭო“, რომელიც ჩვენი ქვეყნის და ხალხის მთავარ საშიშროებად ქცეულა, თავის სატრაპებს, ვირთხებს, აფთრებს და ტურებს რაზმავს და აგულიანებს, რომ ოღონდაც რეჟიმი გადაარჩინონ და მათ მისცემენ მეტ ფულს და მეტ წარჩინებას.

ჩვენი - და პირველ რიგში ბიძინა ივანიშვილის და მისი გუნდის ამოცანაა, შევაგნებინოთ ამ ხალხს, რომ ისინი რეჟიმის ტურები, ვირთხები, აფთრები და სატრაპები კი არ არიან, არამედ დაბადებით არიან ჩვენი ქვეყნის შვილები, საქართველოს შვილები, და რომ მათი რეალური ბედნიერება ხალხის გატყავებაში აღებული ფული და ჯილდო კი არაა, არამედ ის, რომ მათ შვილებსაც და შვილიშვილებსაც ამ მიწაზე ბედნიერად ცხოვრების საშუალება ჰქონდეთ, ხოლო ეს რეჟიმი ამ შანსის მოკვლას სწორედ მათი ხელით აპირებს.

სოლომონ თერნალის ბლოგიდან

ტრიბუნა.GE

სიტყვის თავისუფალი ტაბულა

ტაბულა P.S. - 2011 წლის 18 ოქტომბერი №23 (619)

გაზეთი არის საქართველოს
რეგიონული მედიის ასოციაციის
სრულუფლებიანი წევრი

ვის და რატომ არ ასვენებს „გურჯისტანის მიშაეთი?!“

პუბლიცისტიკა აგიტაციის საუკეთესო საშუალებაა ხალხის მასების აზროვნების მობილიზაციისათვის - *ილია*

✍ ნიაზ მალაყმაძე

ამ ბოლო პერიოდში თბილისში მოქმედმა ოპოზიციურმა პრესამ განსაკუთრებული ადგილი დაუთმო ბათუმურ მოვლენებს. მათ შორის გაზეთმა „ასავალ-დასავალმა“ 2011 წლის №37-ში გამოაქვეყნა ჯაბა ხუბუას სტატია სათაურით „გურჯისტანის მიშაეთი“. ავტორი ერთგვარ შიშს გამოხატავს თითქოს და ბათუმი ინტენსიური გათურქების გზას ადგას. სადაც ჩანს, რომ ავტორი არ იცნობს ბათუმის ისტორიას და საფუძვლიანად სტატიაში დასმულ თემას. ვფიქრობ, ამაში მას პრორუსული განწყობა უშლის ხელს. ვინც ბათუმის ისტორია კარგად იცის, დამეთანხმება, რომ მისი ქალაქად ჩამოყალიბების საქმეში ბაქოს ნავთობმა ითამაშა მთავარი როლი. ამით იმის თქმა მინდა, რომ საკითხის ნათელყოფისათვის, როდესაც ქალაქ ბათუმზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში მის ეკონომიკურ მხარეს უნდა შევეხოთ და გავიხსენოთ ის პერიოდი, როდესაც 1878 წელს სან-სტეფანოში რუსეთსა და თურქეთს შორის მოხდა მშვიდობიანი მოლაპარაკება. ბათუმი შევიდა რუსეთის შემადგენლობაში 1410 მილიონი მანეთის სანაცვლოდ, რის გადახდაც ვერ შეძლო თურქეთმა, რათა დაეფარა ამ ომში რუსეთისათვის მიყენებული ზარალი. შემდეგ რუსეთის იმპერატორი აცხადებს, რომ ბათუმი უნდა გამოცხადდეს პორტო-ფრანკოდ კომერციული საქმიანობის უპირატესობით. შემდგომში თურქები სინანულს გამოთქვამდნენ ბათუმის დაკარგვის გამო და ცდილობდნენ როგორმე დაებრუნებინათ მათ მიერ დაკარგული ქართული ტერიტორიები. ბათუმიდან თურქეთში გაიხიზნა ადგილობრივი მოსახლეობა, რასაც ხელს უწყობდა მაშინდელი რუსეთის ხელისუფლება. დარჩენილთაგან მრავალი კი გაასახლეს უცხო მხარეს. ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ ტარდებოდა რეპრესიები რელიგიური მრწამსის გამო, რომელიც გრძელდებოდა ბოლო დრომდე. ეს იყო წარსულში. მაგრამ მოსახლეობას ახსოვს თუ როგორ მხეცურად უსწორდებოდნენ ადგილობრივებს რუსეთის არმიის მებრძოლები ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით. რუსეთის ხელში ბათუმი 8 წლის მანძილზე პორტო-ფრანკოდ გადაიქცა. საიდანაც მილიონობით ტონა ბაქოს ნავთობი გადიოდა მსოფლიოში. ქალაქმა იგრძნო ეკონომიკური გამოცოცხლება. გაიხსნა რამდენიმე ქვეყნის საკონსულო. ქალაქის განაპირას მდიდარი რუსები აშენებდნენ აგარაკებს. პოლკოვნიკმა სოლოცკოვმა კი თავის მამულში ჩაის პლანტაცია გააშენა, ვაჭარმა პოპოვმა შორეული აღმოსავლეთიდან ჩაი ჩამოიტანა და ჩამოიყვანა ჩაის სპეციალისტები, რომლებმაც აჭარაში პირველად გადაამუშავეს ჩაის ფოთოლი.

ქუჩებში უფრო მეტად თურქების, ბერძნების და რუსების სიმრავლე იგრძნობოდა. ბათუმს უამრავი ხალხი მოაწყდა სამუშაოს საძებნელად. ბაზარი სავსე იყო უცხოური და თურქული საქონლით. განსაკუთრებით ინტერესს იჩენდნენ ნავთობის „წყაროსთან“ საქმიანი კავშირის დასამყარებლად. 1918 წლის აპრილში თურქეთმა დაიპყრო ბათუმი. შემდეგ ისინი ინგლისელებმა შეცვალეს. 1921 წლის მოსკოვის ხელშეკრულების თანახმად აჭარას მიაკუთვნეს ავტონომიური მმართველობა, რომელიც დღემდე მოქმედებს. როგორც ისტორია გვამცნობს ბათუმის შესახებ, დღეს ახალი არაფერი ხდება, მეორდება ის, რაც იყო ადრე. ბაქო-ჯეიჰანის მილსადენმა ბათუმის მილსადენს მნიშვნელობა დაუკარგა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბათუმის ეკონომიკური პოტენციალი შემცირდა. ამიტომ დღევანდელი ხელისუფლება ცდილობს ამ ხარვეზების აღმოფხვრას ტურიზმის ჩანაცვლებით, სწორედ ამ კუთხით უნდა შევხედოთ ბათუმის მოსახლეობის მატებას თურქების ხარჯზე. რუსების წასვლის შემდეგ აქ თურქი ინვესტორები აშენებენ ქალაქს და ანვითარებენ ინფრასტრუქტურას. ვფიქრობ, თურქეთის მოსახლეობის ბათუმში დასახლებას უფრო პოზიტიური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ნეგატიური. ბათუმში უმეტესად ის ადამიანები სახლდებიან, რომელთა წინაპრებს რუსეთის ოკუპაციის გამო თავისი სამშობლო დაატოვებინეს. მათი დაბრუნებით ერთგვარი ისტორიული სმართლიანობის აღდგენა ხდება. ისინი თავად ამბობენ: რომ ბრუნდებიან თავისი წინაპრების ისტორიულ სამშობლოში. ახლა წარმოვიდგინოთ რა შედეგს მოიტანს მათი შემოსვლა ბათუმში. ჯერ ერთი, ეს არის დემოკრატიული პროცესი, რადგან მთელი მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები ღიაა ემიგრაციისათვის. მეორე განვითარდება წვრილი და საშუალო ბიზნესი. მესამე ადგილობრივ მოსახლეობაზე ემიგრანტების აქტიურობა დადებითად იმოქმედებს კონკურენციის თვალსაზრისით და ეს ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის ქალაქები საჭიროებენ მოდერნიზაციას, თურქები მაინც ჩვენი ქალაქის ინფრასტრუქტურაში დებენ ინვესტიციებს, რაც კეთილ ნებად უნდა აღვიქვათ და არა მტრობად. ეს არის სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა. მართალია არაალტრუისტული, არამედ ეკონომიკურ სარგებელზე დამყარებული. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ თურქეთი არის ნატოს წევრი და ამერიკის მოკავშირე, ხოლო ჩვენ რუსული გავლენიდან გამოსულნი. ამიტომაც უნდა ვეძებთ მოკავშირენი. მათ შორის თურქეთის სახითაც. ბოლო 20 წლიანი მძიმე ეკონომიკური სიდუხჭირის დროს, რომელიც რუსეთმა ხელოვნურად შეგვიქმნა, თურქეთმა გამოავლინა კეთილი ნება და ქართველ ხალხს გაჭირვებაში მხარში ამოუდგა. მაშინ, როდესაც შევარდნაძის ხელისუფლებას განწირული ჰყავდა საქართველოს მოსახლეობა, სწორედ თურქეთმა გვიხსნა შიმშილისაგან, ეს არ უნდა დაგვავიწყდეს.

რაც შეეხება მეჩეთებს, იგი აჭარაში თითქმის ყველა სოფელში აშენდა და ამოქმედდა, გარდა მაჭახლის ხეობისა. ამ ხეობას არ გააჩნია არც ქრისტიანული და არც ისლამური საკულტო შენობა-ნაგებობანი. ოსმალოს პერიოდში მაჭახლის ხეობაში მოსახლეობა კათოლიკური მიმდინარეობის მიმდევარი იყო, შემდგომ კი ისლამურისა, რაც დღემდე გრძელდება. რაც შეეხება თურქული ენის ცოდნას, ეს საჯარო გახდა იმიტომ, რომ ერთმანეთს შორის აღდგეს ურთიერთობა და მოიხსნას ენის არცოდნის ბარიერი, რუსების წასვლის შემდეგ ქართულთან ერთად ინგლისური წარწერებით შეიცვალა ქუჩების სახელები. ამაში მე ვერ ვხედავ რაიმე საგანგაშოს და „კლანჭებს“, როგორც ავტორი აღნიშნავს, დაპყრობა და კლანჭები იყო რუსეთის მმართველობის დროს, ასევე ქსენოფობიური გამოხდომები, რომელიც დღემდე გრძელდება, რის გამოც მოხდა ადგილობრივი მოსახლეობის ემიგრაცია, მუჰაჯირებად ქცევა, თურქეთში გასახლება და რეპრესიები, რასაც აქტიურად მხარს უჭერდა მაშინდელი საქართველოს კომუნისტური მთავრობა. დღეს კი იმ პერიოდში რეპრესირებული პიროვნებების მიმართ გამოიყო კომპენსაციები. მაგრამ დღევანდელი მოქმედი ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს როგორმე შეამციროს თავისი წილი.

2004 წლის 6 მაისის მოვლენების შემდგომ ასლან აბაშიძის მმართველობა აჭარაში სააკაშვილის მიერ მოწონებულმა მთავრობამ შეცვალა, რომელიც დღემდე მართავს აჭარას. ამ ხნის განმავლობაში თუ როგორი მდგომარეობაა აჭარაში, რადიკალურად არავინ არაფერს ამბობს. მოსახლეობა სრულიად მიტოვებულია და საკუთრი თვითმოქმედებისა თუ ინიციატივის წყალობით გადის ფონს და თავისით ირჩენს თავს. მიდის სხვა ქვეყანებში სამუშაოდ. ეს ქვეყნებია თურქეთი და საბერძნეთი. ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი დარღვეულია და უფუნქციოა, რადგან ვერ გამოხატავს მოსახლეობის ნებას, ვერ იცავს მის უფლებებს. საბჭოთა კავშირის შემდეგ არსებულმა ავტონომიურმა რესპუბლიკებმა სახელმწიფო სტატუსი მიიღეს, აჭარამ კი ეს არ გააკეთა ასლან აბაშიძის მმართველობის დროს, რადგან ეროვნული მთავრობის მიერ იყო ხელდასმული და მოითხოვა საქართველოს ფარგლებში ავტონომიის სახით დარჩენა. დღევანდელმა ხელისუფლებამ საერთოდ უფუნქციო გახადა აჭარის ავტონომია. დღეს აჭარაში მოქმედებს საპრეზიდენტო მმართველობა, მაგრამ მხოლოდ ქალაქ ბათუმში. რაიონები კი საერთოდ მიტოვებულია. მაჭახლის ხეობის მოსახლეობა, უკვე 5 წელზე მეტია ითხოვს მაჭახლის ხეობის საზღვრის გახსნას თურქეთთან, რომელიც ჩაკეტილია კომუნისტური მმართველობის პერიოდში. დღევანდელი მთავრობა კი ყველანაირად ცდილობს მის დაბლოკვას.

ავტორი აღნიშნავს, რომ აჭარა და ბათუმი გიგანტური ნაბიჯით მიექანება გათურქებისაკენ. რაც მართებულად არ მიმაჩნია. აჭარა ქართული ორიენტაციის მხარე იყო და ასეთად დარჩება ყოველთვის მიუხედავად იმისა, რომ აქ დღესაც საკმაოდ არიან ისლამური რელიგიის მიმდევარნი. მართლმადიდებელი საქართველო კი არ ცნობს აჭარლებს ქართველებად, რადგან საქართველოში ზოგიერთებისათვის დღესაც ერი და მართლმადიდებლობა ერთმანეთშია გაიგივებული. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი აჭარელი მოინათლა ქრისტიანულად, ზოგიერთები მაინც ფიქრობენ, რომ სამომავლოდ ეს რეგიონი თურქების მფლობელობაში გადავა. ეს აზრი თბილისიდან მოდის და ადგილობრივი მოსახლეობაც უმტკივნეულოდ ეჩვევა ამას, რადგან აჭარლების უმეტესობა დღეს თურქეთშია გასული სამუშაოდ იმიტომ, რომ თბილისმა საერთოდ მიგვატოვა. ასევე ის სამუშაო ადგილები, რომლებიც არსებობდა ბათუმში, თბილისიდან ჩამოსულმა კადრებმა დაიკავეს. ავტორის აზრით დღეს თითქოსდა საქართველოს ანტიქართული ხელისუფლება აჭარაში სპობს ყოველგვარ ქართულს და ფართოდ უღებს კარს ყოველგვარ თურქულს. მას უნდა შევახსენოთ, რომ სწორედ თბილისმა დაამხო ეროვნული მთავრობა, რაშიც აქტიური როლი ითამაშა ეკლესიამ და კი არ დაგმო, პირიქით, აკურთხა უკანონობა და ხელი შეუწყო ყოველგვარი უკანონობის „გაპრავებას“. უარყოფილია სამართალმემკვიდრეობის პრინციპი, რომელიც დღესაც გრძელდება. ავტორი ამბობს, თითქოს ბათუმში ბიზნესი თურქების ხელშია და მათ საკუთრებას წარმოადგენს. განა თბილისშიც უმეტესად თურქული რესტორანები და მაღაზიები არ მოქმედებს. რა, თბილისში ეს საშიშროებას წარმოადგენს? ამ ფონზე რატომ უნდა გეშინოდეს მაინცდამაინც ბათუმში თურქების აქტიურობის, რომლებთანაც ბევრ აქაურს რელიგიური მრწამსი აკავშირებს. თურქები ქსენოფობიას არ ამჟღავნებენ და ბატონობით მოგვმართვენ. ცდილობენ კეთილი განწყობით იყვნენ ჩვენთან და მოყვრული ურთიერთობა დაამყრონ. ამ მხრივ თბილისს მათგან ბევრი რამ სასწავლი აქვს. ასე რომ, თურქების ყოფნა ბათუმში საგანგაშო არ არის და თბილისი ნუ ღვრის ნიანგის ცრემლებს. ზოგიერთებს ვურჩევ მოინანიოს ის დანაშაული, რაც ჩაიდინა საბჭოთა პერიოდში და ახლაც აგრძელებს აჭარის და სხვა კუთხეების მიმართ და ნუ გვაშინებს ახალი უპერსპექტივო წარმოსახვებით. ჩვენ უკვე ვისწავლეთ ვისთან ვიქონიოთ საქმე. თბილისი კი ჩვენს მიმართ ყოველთვის უნდობლობას იჩენდა რელიგიის გამო, რაც დღესაც გრძელდება. ბათუმი არის საერთაშორისო ქალაქი, დამაკავშირებელი და არა გამთიშველი, ამიტომ მთავრობის მოქმედება ამ კუთხით გამართლებულია. თქვენი ე. წ. შეძახილები კი ფუყე და ცრუ.

რედაქციისაგან: ჩვენ იმთავითვე გვესმის, რომ პუბლიკაციას აუცილებლად მოჰყვება არაერთგვაროვანი რეაქცია საზოგადოების მხრიდან, მზად ვართ განვიხილოთ ყველა წინადადება და მოვისმინოთ ნებისმიერი აზრი.

არაჩვეულებრივი გამოფენა ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში

12 ოქტომბერს „ფონდ ღია საზოგადოება - საქართველოს“ და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მხარდაჭერით ბათუმის საქალაქო ბიბლიოთეკაში მოეწყო გამოფენა „ქართული ბეჭდური მედიის წარსული და აწმყო“.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა საქართველოში გამოცემული ბეჭდური პერიოდული გამოცემების ყველაზე სრულყოფილ კოლექციას ფლობს. მასში დაცულია მასალები 1819 წლიდან (პირველი ქართული გაზეთის გამოცემიდან) დღემდე. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო - 100-ზე მეტი ექსპონატი, მათ შორის ფოტომასალა და ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული გამოცემების დედნებიც, მასალები იმ მოღვაწეებზე, ვინც საფუძველი ჩაუყარა ქართულ ჟურნალისტიკას.

გამოფენის პარალელურად ჟურნალისტებისა და მესამე სექტორის წარმომადგენლებისათვის მოეწყო შემეცნებითი პრეზენტაციები ქართული პრესის განვითარებაზე, მოვისმინეთ მეტად საინტერესო მოხსენება „ქართული მედია ეროვნული და სახელმწიფოებრივი თვითდამკვიდრების სამსახურში“, რომელიც ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელმა მაია მიქაბერიძემ წარმოადგინა. ეროვნული ბიბლიოთეკის სამოქალაქო საზოგადოების ერთიან ციფრულ ბიბლიოთეკასა და ქართული პერიოდული გამოცემების „ციფრულ“ მომავალზე აუდიტორიას გიორგი კილაძე ესაუბრა, საინტერესოდ იყო წარმოდგენილი ქართულ მედიაში რეკლამის განვითარების ისტორია, რომელზეც შეკრებილებს ნინო სიხარულიძე ესაუბრა. ჟურნალისტებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების მიერ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სამოქალაქო განათლების ელექტრონული რესურსების გამოყენების შესაძლებლობებზე ისაუბრა ხათუნა კენჭოშვილმა. ასევე წარმოადგინეს ქართული გაზეთების ელექტრონული კატალოგი და ქართული ჟურნალების ციფრული ბიბლიოთეკა. გაიმართა დისკუსია ბიბლიოთეკების, მედიისა და არასამთავრობო სექტორის მომავალი თანამშრომლობის თემაზე.

გამოფენის ფარგლებში ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდების დირექტორ ლევან თაქთაქიშვილთან შეხვედრისას გადაწყდა, რომ მედიაჯგუფი „აჭარა P.S.“ 1998 წლიდან გამოცემულ გაზეთ „აჭარა P.S.“-ის თხუთმეტწლიან, ასევე 2007 წლიდან გამოცემულ გაზეთ „ჩემი ქობულეთის“ ხუთწლიან არქივებს შესანახად ეროვნულ ბიბლიოთეკას გადასცემს, ჩვენი რედაქციები საიტზე განსათავსებლად გაზეთების ახალი ნომრების ელექტრონულ ვერსიებსაც ბიბლიოთეკას ყოველკვირეულად მიაწვდიან.

დიანა მოფინაძე

გარეგინ II-ე სომხეთ - საქართველოს ახალ საზღვარზე მიუთითებს

ყოველი ჭეშმარიტი მამულიშვილი შეწუხებულია ა/წ 5 ივლისის საქართველოს პარლამენტისა და ხელისუფლების მიერ რელიგიათა შესახებ კანონპროექტის მიღების გამო. ამ კანონმდებლობით ანტიეროვნულმა ხელისუფლებამ მთავარი დარტყმა მიაყენა ქართულ ეკლესიას, ქართველ ერს. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის დასაცავად, რაც იგივე საქართველოს გადასარჩენად ზრუნვას ნიშნავს, პროტესტის ნიშნად ქუჩაში გამოსული ათიათასობით მრევლი სინოდის გადაწყვეტილების თანახმად „დამშვიდდა," ერი დადუმდა და ყოველგვარ უზნეობასა და ანტიეროვნულ ქმედებებს წყნარად და ურცხვად შეჰყურებს.

მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ მიღებული კანონი კი უკვე იწყებს თავისი დამანგრეველი შედეგების გამოღებას...

ჩემი ყურადღება მიიქცია გარეგინ II-ის ვიზიტმა საქართველოში, კერძოდ, მისმა მოგზაურობამ წალკის რაიონში, ჯავახეთისა და ქართლის საზღვარზე, წალკის და მანგლისის მეუფე ანანიას სამწყსოში, რომელიც ოც მოღალატე მეუფეთა შორის ერთ-ერთად იქნა დასახელებული. მიზნად დავისახე შეძლებისდაგვარად გამერკვია თუ რა მიზანს ისახავდა გარეგინ II-ის ჯავახეთისა და ქართლის საზღვარზე სომხებით კომპაქტურად დასახლებულ ერთ პატარა სოფელში ჩასვლა, რის შესახებაც თითქმის არაფერი დაწერილა და თქმულა. გარეგინ II-ე, რომლის საქართველოში ვიზიტი უპირველესად პოლიტიკური მიზნებით იყო განპირობებული, თუ რა ნაციონალურ ურთიერთობათა ფონი დაუხვდა, როგორია აქ მცხოვრებ სომეხთა და ბერძენთა დამოკიდებულება ქართველებისა და ქართული სახელმწიფოს მიმართ, ვნახოთ სად არის ნამდვილი ქსენოფობია, რისთვისაც იგი ბარაკ ობამას წერილობით უსაფუძვლოდ მიმართავს და „მრავალეროვან" საქართველოს ორგანიზაციასთან ერთად, რომელიც მათივე შექმნილია, ჩირქს სცხებენ ქართველ ხალხს, ვნახოთ რა საიდუმლო კავშირია წალკის მეუფე ანანიას ანტიქართულ პოლიტიკასა და გარეგინ II-ის გეგმებს შორის.

პირველ რიგში განვიხილოთ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ნაციონალური ურთიერთობები, შემდეგ მრევლისა და ეპარქიის წინამძღოლთა ურთიერთობები.

წალკის რაიონი დაახლოებით 50 სოფლისაგან შედგება. 22-სოფლამდე ქართველებითაა დასახლებული, რომლებიც აქ მას შემდეგ ჩამოსახლდნენ და დამკვიდრდნენ, რაც ბერძნებმა დატოვეს აქაურობა და თავიანთ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდნენ

დღესდღეობით აქ, ქართველები და სომხები მართალია მშვიდობიან ვითარებაში ცხოვრობენ, მაგრამ სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ეს ხელოვნურია, მოჩვენებითია და არა გულწრფელი, რადგანაც მიუხედავად სომეხთა დიდი წინააღმდეგობისა, ქართველი მოსახლეობა ამ რაიონში სომხურს თითქმის რიცხობრივად გაუთანაბრდა და საკმაო ძალას წარმოადგენს. ბოლო დროს წალკის ქართველთა შევიწროებამ, ანტიეროვნული პოლიტიკის წყალობით უფრო სხვა „ცივილიზებული" ფორმა მიიღო. როგორც სამწუხარო ფაქტები მოწმობენ, დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით, აქაური ბერძნები და სომხები საქართველოს ხელისუფლების თანადგომით გადაჭარბებული უფლებებით სარგებლობენ, ქართველები კი, პირიქით, სახელმწიფოს მხრიდან სრულ დაუცველობას განიცდიან, რაც თანდათან ანტიეროვნული პოლიტიკის საფუძველზე კანონის სახეს იღებს.

წალკის რაიონის ქართველი მოსახლეობა ძირითადად ბერძნების მიერ მიტოვებულ სახლებში ცხოვრობს. ბერძნები, რომლებიც თავის დროზე საბერძნეთში წავიდნენ, ბრუნდებიან უკან ორმაგი მოქალაქეობის უფლებებით და ქართველებს ერეკებიან თავიანთი სახლებიდან. ხელისუფლება კი თავის დანაპირებს ბერძნებისაგან სახლების შესყიდვისა და ქართველებისთვის გადაცემის შესახებ არ ასრულებს. პირიქით, მათ ვინც შესძლო სახლისათვის საჭირო თანხის შეგროვება, აქ ჩაწერისა და დამკვიდრების უფლებას არ აძლევენ. რაც შეეხება ბერძნებს, ისინი საქართველოში ბრუნდებიან არა საცხოვრებლად, არამედ თავიანთი მიტოვებული სახლების გასაყიდად, ან შესანარჩუნებლად. ბერძენ პენსიონერებს აქ პენსია უგროვდებათ, ზაფხულობით ჩამოდიან და ერთობიან, მიწებს ქართველებს არენდით აძლევენ, ქართველები კი დამცირებულ ყოფაში მუდამ შიშის ქვეშ არიან, არ იციან როდის გამოყრიან სახლებიდან, ან მიწა სხვა ვინმეს არ მიაქირაონ უფრო ძვირად და თავად უმუშევარი არ დარჩნენ.

მართალია, ბერძენი რომელმაც თავის დროზე თავისი შრომით ააგო სახლი, თავის საფასურს ითხოვს და ღვთისა და ადამიანთა კანონით თავისი ქონების საზღაური უნდა გადაუხადო, მაგრამ აქ იქმნება ისეთი მძიმე სურათი, რომ ენით, საგაზეთო წერილით მისი გადმოცემა ძნელია. დაბრუნებული ბერძნები, ფინანსურად უკვე შეძლებულები, საქართველოს ანტიეროვნული პოლიტიკით წაქეზებულები არ მალავენ ყველაფერ ქართულის მიმართ ზიზღს, ქართველებს დამამცირებელად ზემოდან დაჰყურებენ. მაგალითად, სოფელ საყდრიონში, ივლისის თვეში, ჩემი იქ ყოფნის პერიოდში რამდენიმე ქართველის ოჯახი გამოყარეს ბერძენთა სახლებიდან, სადაც ისინი უკვე წლების მანძილზე ცხოვრობდნენ. მთელი სოფელი შეწუხებული იყო ამ ფაქტით, უფრო იმიტომ, რომ მათი უმრავლესობა იგმავეს მოლოდინშია. მაგ. ჯუმბერ ხოზრევანიძემ, რომელიც ქუჩაში დარჩენილთაგან ერთ-ერთია, მიამბო, რომ მასთან მივიდა საბერძნეთიდან დაბრუნებული სახლის პატრონი და თავისი ძველი სახლისთვის არარეალური ფასი მოსთხოვა, რომელიც მეორე დღის საღამოსათვის უნდა გადაეხადა. ხოზრევანიძემ საჭირო თანხის შეგროვებისათვის დრო ითხოვა, ბერძენი არ დათანხმდა და პოლიციას მიმართა. ხოზრევანიძემ დახმარებისთვის გამგეობას მიმართა, რათა ეშუამდგომლათ ბერძენთან საჭირო თანხის შესაგროვებელი დროის მიცემასთან დაკავშირებით, მაგრამ უშედეგოდ. მეორე დღესვე ბერძენის მოთხოვნით წალკის ცენტრიდან ამოსულმა პოლიციის რაზმმა ჯუმბერ ხოზრევანიძის ოჯახი ყოველგვარი თანადგომისა და იმედის გარეშე ქუჩაში გამოყარა. ბერძენმა სახლი დაკეტა, მიწა სხვას მიაქირავა და წავიდა თავის ევროკავშირში. ჯუმბერ ხოზრევანიძე კი ვაგონს, ან რაიმე მიტოვებულ დროებით თავშესაფარს ეძებდა ოჯახისათვის. მსგავსი მაგალითები ბევრია და მასობრივ ხასიათს იღებს. აღნიშნული მაგალითი, ვფიქრობ საკმაო არგუმენტია იმისათვის, რომ ორმაგი მოქალაქეობის მასობრივად მიკუთვნება ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას, რამეთუ ორმაგი მოქალაქეობის მიცემა უნდა ხდებოდეს მხოლოდ ჩვენი ქვეყნის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე პიროვნებებისთვის. იმ ადამიანებზე კი ვინც არავითარ პასუხისმგებლობას არ გრძნობს ჩვენი ქვეყნისა და ერის წინაშე, ეს დაუშვებელი უნდა იყოს. ამას მოწმობს წალკაში საბერძნეთიდან დაბრუნებულ ბერძენთა დამოკიდებულება ქართველთა მიმართ, ბათუმში - თურქ მოქალაქეთა თვრამეტათასიანი შემადგენლობა, რომელთათვისაც საქართველო მხოლოდ ბაზარი და გასართობი ადგილი გამხდარა.

წალკის რაიონის მცხოვრებთა შორის ნაციონალურ ურთიერთობებზე დაკვირვების შედეგად იქმნება საერთო წარმოდგენა აქ, სინამდვილეში არსებულ ქსენოფოფობიურ დამოკიდებულებაზე, ოღონდაც არა ეთნიკურ უმცირესობათა მიმართ, რომლის მსგავსიც ალბათ არც ისტორიაში და არც თანამედროვე ცხოვრებაში არცერთ ქვეყანაში არ ხდება, რომ ყველაფერს თავისი ხალხის მოძულე საქართველოს ხელისუფლება უწყობს ხელს.

წალკაში მცხოვრები ბერძენი ან სომეხი ეროვნების წარმომადგენელი, რომელიც აქ საუკუნეზე მეტია ცხოვრობს, კატეგორიულად აცხადებს უარს ქართულად საუბარზე (უმრავლესობაზეა საუბარი და არა იშვიათ გამონაკლის ერთეულებზე). ისინი ქართულად მიმართვისას ღიზიანდებიან და აგრესიული გამომეტყველებით ითხოვენ რუსულად ლაპარაკს, წინააღმდეგ შემთხვევაში სრულიად უყურადღებოდ რჩები. მიუხედავად იმისა, რომ არ გიცნობს, არავითარი პიროვნული წყენა არ გააჩნია, არ გაფასებს როგორც ქართველს, რადგანაც შენ ამ ქვეყნის ისტორიული მემკვიდრე და პატრონი ხარ.

ანტიეროვნული პოლიტიკით გათამამებულმა სოფელ საყდრიონის ბერძნებმა, ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბეს და სოფლის ცენტრში ბერძნული დროშა ააფრიალეს. სოფელი, სადაც საერთაშორისო საავტომობილო გზა გადის, აქ გამვლელ უცხოელს თავი საბერძნეთის კოლონიაში ეგონება. სოფლის მკვიდრთ არაერთხელ



სოფელი საყდრიონი

ნ. ბოლქვაძე სტუმრად მამა დავითთან წალკაში

მიუმართავთ სოფლის გამგებლისათვის, თუ რატომ არ იღებს ხმას, როცა სოფელში ქართული დროშა არსადაა, ბერძნული კი საქვეყნოდ ფრიალებს და დროშის ჩამოხსნა გადაუწყვეტიათ. გამგებელი გადადგომიათ წინ და ურჩევია ხელი არ ეხლოთ ბერძნული დროშისთვის. სოფლის გამგებელი როგორც ჩანს, კარგადაა გარკვეული ხელისუფლების ანტიეროვნულ პოლიტიკაში და იცის, რომ თუ ბერძნულ დროშას შეეხება, ამით ზემდგომი ორგანოების ხელმძღვანელთ გააღიზიანებს. ამიტომ, ხელფასის დაკარგვის შიშითა და თავისი სიმხდალით დუმილს ამჯობინებს, სხვებსაც იმავეს ურჩევს, რადგანაც ამის შემდეგ რამდენიე ოჯახი შესაძლებელია ქუჩაში აღმოჩნდეს...

წალკის რაიონში და საერთოდ ჯავახეთში ჩასახლებულ ქართველებს როგორც ვიცით უდიდესი მისია აკისრიათ, ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული უსაფრთხოების მიზნით, აქ, ძირძველ ქართულ მიწაზე ქართული სულის ასაღორძინებლად. მიუხედავად ამისა, მათ მიმართ ხელისუფლებისაგან არ არსებობს არავითარი თანადგომა, როგორც ჩანს მიზანმიმართულად, რათა აქ, არ აღორძინდეს ქართული ეროვნული სული. სხვადასვა ფორმით აქაურ მკვიდრთა შევიწროებას კიდევ ემატება ისიც, რომ ბანკებისგან კრედიტების მიღება მათთვის შეუძლებელია, ის თითქმის 36%-მდეა დიდი გადასახადებით, ამასთან საცხოვრებელი სახლის ჩადების სანაცვლოდ, სახლი კი მათ უმრავლესობას გაფორმებული არ აქვს, რაც კრედიტის აღების შანსს გამორიცხავს.

სოფლის მცხოვრებთა გულისტკივილს იწვევს ის ფაქტიც, რომ სოფ. საყდრიონის ბავშვებს არავითარი გასართობი არ გააჩნიათ, მაშინ, როცა უახლოეს სომხურ სოფელში თანამედროვე სპორტული მოედანია მოწყობილი სომეხი ბავშვებისათვის. ქართველი ბავშვები ამ ფონზე ძალიან დამცირებულად გამოყურებიან...

წალკის რაიონის დეპუტატი საქართველოს პარლამენტში ნაციონალური მოძრაობიდან მიხეილ ცქიტიშვილი, როგორც აქაურები ამბობენ, საარჩევნო კამპანიის შეემდეგ თვალით არავის უნახავს.

ერთადერთი საკითხი მოსახლეობაში, რაც ხელისუფლების მხრიდან მკაცრად არის „მოწესრიგებული" შუქის გადასახადია, პრინციპით: „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის," რაშიც ასევე პირადად დავრწმუნდი. სამი დღე-ღამის განმავლობაში 60 ოჯახი დაისაჯა და შუქი არ მიეწოდებოდა იმის გამო, რომ ორმა ოჯახმა დავალიანება დროზე ვერ დაფარა.

წალკის ქართველი მოსახლეობა არამარტო უკმაყოფილებას გამოთქვამს ხელისუფლების მიმართ, არამედ უფრო დიდ გაკვირვებას თუ რა ხდება: „ჩვენ, ვინც მზად ვართ თუნდაც სიცოცხლის ფასად დავიცვათ ჩვენი ქვეყნის ინტერესები, ჩვენი ხელისუფლებისაგან თანადგომის ნაცვლად, ყოველგვარ წინააღმდეგობას ვხედავთ. ჩვენს წინაპართა მიერ შემოხიზნულ სხვა ეროვნების წარმომადგენელთ კი ვისაც არავითარი პასუხისმგებლობა არ გააჩნია ქართული ეროვნული ინტერესებისადმი, ხელს უწყობენ ქართველების შევიწროებასა და დამცირებაში"- აღნიშნეს საუბარში აქაურებმა.

მამუკა კაპანაძე, თბილისის მკვიდრი, ერთ-ერთი პირველთაგანია ვინც სოფელ საყდრიონში 2000 წლიდან დასახლდა. როგორც ის მოგვითხრობს, არაერთხელ მიმართა აქაურ ბერძნებს, თუ რატომ მიდიან ისინი საქრთველოდან, საქართველო ხომ მათი სამშობლოცაა, აქ დაიბადნენ და გაიზარდნენ, რომ ქართველთაგან არავის უკადრებია მათთვის ცუდი, დარჩნენ და იცხოვრონ ქართველებთან ერთად, როგორც მათ სამშობლოში. ისინი კი ასეთ მიმართვაზე შემდეგნაირად პასუხობენ: წალკა ჩვენმა წინაპრებმა რუსი გენერლისაგან იყიდესო. როგორც გავიგე, ისინი საქართველოს არ თვლიან თავიანთ ქვეყნად, არამედ მხოლოდ წალკას მიიჩნევენ თავიანთ საკუთრებად - აღნიშნა გულისტკივილით ბატონმა მამუკამ.

მის გულწრფელ მსჯელობაში და ქართველთა ტოლერანტობასთან ერთად ჩვენი ერისათვის დამახასიათებელი ბავშვური გულუბრყვილობაც დავინახე, ვეხვეწებით ყველას, რომ ჰა, საქართველო შენიცაა, გქონდეს, მაშინაც კი როცა ის შენი სახელმწიფო ენის ცოდნას აუცილებლობად არ მიიჩნევს, სხვა თვალით, ზიზღით გიყურებს და ამას არც მალავს. სწორედ ამის შესახებაა ბრძენთა დარიგება რომ გვაფრთხილებს: „ნუ იქნები ძალიან მწარე, თორემ გადაგაფურთხებენ, ნურც ძალიან ტკბილი, თორემ გადაგყლაპავენო." სწორედ ასეთ დღეში ვართ, საბოლოოდ გადასაყლაპად გამზადებულნი.

საქართველოს სასაზღვრო ზოლებში, თუ ქვეყნის შიგნით ქართულ მიწებს სხვები ეუფლებიან, ხმის ამომღები კი არავინაა, სამაგიეროდ ავღანეთს ვიცავთ. სწორედ ჩვენზეა ნათქვამი: „სხვის ომში გმირულად, მხოლოდ რეგვენი იბრძვის." ეს საქართველოს საგარეო პოლიტიკას ეხება და არა მებრძოლებს, რომლებიც ბრძანებას ასრულებენ და რომელთაც, ჩვენთან ერთად უპირველესად საქართველოს საზღვრიებისა და მოსახლეობის ინტერესების დაცვა ჰმართებთ...

წალკის რაიონის ქართველი მოსახლეობის მძიმე სოციალური და ნაციონალური ურთიერთობების პარალელურად, აქ არსებული ანტიეროვნული პოლიტიკის ფონზე, ვნახოთ რა მდგომარეობაა სულიერების მხრივ, მეუფე ანანიას ეპარქიაში, რომელმაც დაუჭირა მხარი გარეგინ II - ის გეგმას.

როგორც უკვე ვახსენეთ, დიდად მნიშვნელოვანი მოვლენაა წალკის რაიონის ერთ-ერთ პატარა სოფელ აიაზმაში ა/წ ივლისის დასაწყისში სომხეთის პატრიარქის სტუმრობა. სოფ. საყდრიონის მკვიდრნი ამის შესახებ გვიამბობენ: -„როდესაც გავიგეთ, რომ სომხურ სოფელში, რომელიც აქვე ერთ კილომეტრში მდებარეობს, სომხეთის პატრიარქთან ერთად მისი უწმინდესობა ილია II–ე მობრძანდებაო, ჩვენი სოფლის მკვიდრნი განურჩევლად აღმსარებლობისა, ყველა დიდი სიხარულით გავეშურეთ ჩვენს სულიერ მამასთან და სტუმართან შესახვედრად. სამწუხაროდ გაწბილებულები დავრჩით. იქ მხოლოდ სომხეთის პატრიარქი იყო მის თანმხლებ პირებთან ერთად, საქართველოს საპატრიარქოდან კი არავინ. იყო, მხოლოდ სომხური მისალმებები, არავის გახსენებია, რომ სტუმრებთან შესახვედრად ქართველებიც ვიყავით მისულნი, ამიტომ ყველამ სასწრაფოდ მივატოვეთ იქაურობა და უკან გამოვბრუნდით. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ სომეხთა პატრიარქი საქართველოში სომხებით დასახლებულ სოფელში ისე ჩამოდის, როგორც თავის ქვეყანაში, სომხეთის სოფელში, ჩვენივე ქვეყანაში კი ჩვენ არვის ვახსოვართ, არც საერო და არც სასულიერო ხელმძღვანელებსო," აღნიშნეს სოფლის მცხოვრებლებმა...

წალკაში მცხოვრებ ქართველთა უმრავლესობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ აჭარიდან ჩასახლებული ისლამის მიმდევრები არიან. ამათგან არაერთი მუსლიმანი ქართველი წინაპრთა ძირძველ სარწმუნოებას, მართლმადიდებლურ ქრისტიანობას დაუბრუნდა. მაგ. სოფ. საყდრიონის 120 ოჯახიდან 30-მდე ოჯახი ქრისტიანულად მოინათლა. მათი რიცხვი წალკის რაიონში მიუხედავად ხელისშემშლელი პირობებისა, რაც ვფიქრობ მიზნმიმართულად ხორციელდება, მაინც იზრდება. ისინი აქ არსებულ ეკლესიებს და ნაეკლესიარებში დამოუკიდებლად ცდილობენ აღასრულონ ღვთისმსახურება. სოფ. საყდრიონში განსაკუთრებით გამოირჩევა სამების ეკლესია, რომელიც ივანიშვილის ფონდმა დააფინანსა და აღადგინა. სოფელი, სადაც 5 მცირე ზომის და 2 საშუალო ზომის ეკლესიაა, რისთვისაც, ამ სოფლისათვის თურქეთიდან მოსულ ბერძნებს „იედი ქილისა"-„შვიდი ეკლესია" შეურქმევიათ, მღვდელი არ ჰყავთ. აქ საპატრიარქოსგან, მანგლისისა და წალკის ეპარქიის წინამძღოლთაგან ქართული ქრისტიანული სულის განსამტკიცებლად არავინ ზრუნავს, ამიტომ სოფლის მკვიდრნი სამართლიანად ამბობენ, როგორც ჩანს, ღმერთმაც დაგვივიწყაო.

ნიაზ ბოლქვაძე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ს ხ ო ვ რ ე ბ ა თ ა მ ა შ ი ა
Geogrand
ინტერნეტ-ტოტალიზატორი "ბეო ბრანდი"
WWW.GEOGRAND.GE
მხოლოდ ჩვენთან:
კოეფიციენტების ნამრავლი-2000
თამაშების ფართო არჩევანი
ყველაზე მაღალი კოეფიციენტები

ყურადღება!
WWW.ARIES.GE
CREWING AGENCY
შპს მეზღვაურთა
დასაქმების სააგენტო
ARIES
აცხადებს მეზღვაურთა მიღებას
შემდეგ მაღალანაზღაურებად
თანამდებობებზე:
გემის კაპიტანი
კაპიტნის თანაშემწე
უფროსი მექანიკოსი
მეორე მექანიკოსი
ელექტრომექანიკოსი
დაწვრილებითი
ინფორმაციისათვის მოგვმართეთ
მისამართზე: ბათუმი, ჟორდანიას
ქ.№9; ტელეფონი: 27 96 86;
მობ: 597 96 95 93
WWW.ARIES.GE

გეპატიჟებათ
„ბიგ-ბენი“

გთავაზობთ ტორტებისა და ნამცხვრების ფართო არჩევანს, ვიღებთ შეკვეთებს სადღესასწაულო ტკბილეულზე. მაღაზია მოგემსახურებათ პროდუქციის ბინაზე მიტანითაც.
ჩვენ გთავაზობთ მაღალ ხარისხს და ხელსაყრელ ფასებს!
დაგვიკავშირდით 24 საათის განმავლობაში:
558 97 44 00
599 97 44 00
8 426 22 48 95

თოჯინებისა და მოზარდმაყურებელთა თეატრი ბულგარეთში

ბათუმის თოჯინებისა და მოზარდმაყურებელთა სახელმწიფო თეატრი ბულგარეთში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე 29 სექტემბერს გაემგზავრა და ბათუმს 8 ოქტომბერს დაუბრუნდა. XV საერთაშორისო თოჯინური ფესტივალი, ბულგარეთში, ქალაქ ვარნაში 1 - 6 ოქტომბერს გაიმართა. საქართველო მასში პირველად მონაწილეობდა.

დასმა საფესტივალოდ შერჩეული წარმოდგენა "არგონავტები" ქ. ვარნაში 3 ოქტომბერს ითამაშა.

ფესტივალში 10 ქვეყნის 21 თეატრი მონაწილეობდა და თითოეული მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა, თუმცა მხოლოდ ოთხმა (მათ შორის საქართველომ) ქვეყანამ დაიმსახურა საგანგებო პრიზი. ფესტივალის გრან-პრი "ოქროს დელფინი" სოფიასა და ვარნას თეატრებმა გაინაწილეს. (სოფიას თოჯინების თეატრმა წარმატება მოიპოვა ნომინაციებშიც: საუკეთესო რეჟისურა, საუკეთესო სცენოგრაფია, საუკეთესო გათამაშება) ესპანეთის თეატრმა კი გაიმარჯვა ნომინაციაში - ქალის საუკეთესო როლის შესრულება, ხოლო ბათუმის თოჯინების თეატრმა მოიპოვა პრიზი - საუკეთესო მუსიკალური გაფორმებისათვის.

„აჭარა P.S.“

ანსამბლ „ქობულეთის“ წარმატება „არტ-გენზე“

შემოდგომის „არტ-გენი,“ აჭარაში - ფესტივალს გონიოს ციხემ უმასპინძლა. ქართული სიმღერისა და ცეკვის კოლექტივები მთელი საქართველოდან აჭარაში ერთი დღით შეიკრიბნენ. ფესტივალზე ხალხური რეწვის და ეთნოგრაფიულ ნიმუშთა გამოფენაც მოეწყო.

ფესტივალში ანსამბლი „ქობულეთიც“ მონაწილეობდა (ხელმძღვანელი თემურ თხილაიშვილი), რომელიც საუკეთესო გახლდათ საუკეთესოთა შორის... ქობულეთურმა განდაგანამ ვინ იცის, უკვე მერამდენედ დაიპყრო მაყურებლის გული, ანსამბლმა საფესტივალო სცენაზე სიმღერაში შეზავებული ცეკვით ნამდვილი ფოლკლორული ნიმუში უჩვენა გემოვნებიან მაყურებელს.

„არტ-გენზე“ ანსამბლ „ქობულეთის“ წარმატებული გამოსვლა ფესტივალის ორგანიზატორებმა სპეციალური ჯილდოებით აღნიშნეს.

„ჩემი ქობულეთი“

„ჩვენ ვეძებთ ტალანტებს!“

ამ რუბრიკით „აჭარა P.S.“-იწყებს ქუჩის შედევრების „პოპულარიზაციას“. თუ თქვენ გადაეყარეთ სასაცილო ფოტოს ან ჰედლაინს ქუჩაში სეირნობის დროს, ნუ დაიზარებთ, გადაიღეთ ნებისმიერი საშუალებით (მობილურით, ფოტოკამერით, ვიდეოთი) და გამოგზავნეთ: E-mail:adjaraps@mail.ru

საუკეთესო ფოტოებს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე იხილავთ.

გამარჯვებული ფოტოების ავ- ტორებს ელით სიურპრიზი!

შპს „ნილე-ჯგუფი“

გამოიძახეთ
გაზი
3-24-03; 7-36-39
ჩვენი აბონენტებისათვის
გაზის ხელსაწყოების
ტექნიკური მომსახურება
უფასოა!
დარეკეთ:
893 18-19-74

www.adjaraps.wordpress.com
საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაციის წევრი სახალხო გაზეთი
აჭარა P.S.
გამოდის მეოთხისგან ნელი
ჩვენ არ ვიმალებით შვრის!
E-mail:adjaraps@mail.ru
მთ. რედაქტორი
ჯემალ მეგრელიძე
დამფუძნებელი შპს „გაზეთი აჭარა P.S.“
რეგისტრაციის № 03-4-111
მისამართი: ქ. ბათუმი, გამსახურდიას ქ.№13, ტელ: 22 36 06, მთ. რედაქტორი: 29 24-24
სარედაქციო კოლეგია: ამირან ქიღურაძე, ეთერ ჩხაიძე, ნუგზარ ჭორდანია, ნანა ახალაძე, ცისანა ანთაძე, ნაირა ქობულაძე, ნატო ბერია.
გაზეთი მუშაობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის მიერ შეუკვეთავი პუბლიკაციისათვის ჰონორარი არ გაიცემა. R ნიშნით აღნიშნული მასალები სარეკლამოა. B ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალა უფასოა!
ბეჭდვა
შპს „პოლიგრაფ - 2010“-ში,
ქ.ბათუმი,
აშშაკიძის ქ.№162